სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 23 ივნისი 2006 №142 (2764) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალიური აჯაფსკანდალი

AFP ჰამბურგიდან

AFP შტუტგარტიდან

ავსტრალია ჰიდინკი!

AFP შტუტგარტიდან

კლუბები ვირის აბანოში?

იტალიური საფეხბურთო სკანდალის გამოძიება დასრულდა. ბრალდებულია ოთხი კლუბი, „იუვენტუსი“, „მილანი“, „ფიორენტინა“, „ლაციო“ და 26 კაცი, რომლებსაც თაღლითობაში ადანაშაულებენ. სასამართლო პროცესი, რომელიც მომავალ სამშაბათს დაიწყება, რომის ოლიმპიურ სტადიონზე გაიმართება. იტალიური მედიის ცნობით, შესაძლოა, ბრალდებულ კლუბებს სერია B-ც სანატრელი გაუხდეთ, რადგან გამორიცხული არ არის, უფრო ქვევით უკრან თავი. ამბობენ, „იუვეს“ ბოლო ორ სკუდეტოსაც ჩამოართმევენო.

„მილანის“ პრეზიდენტმა სილვიო ბერლუსკონიმ თქვა, ყველა ეს ბრალდება უსაფუძვლოა, თუ სადმე სამართალია, ჩემი კლუბი არ უნდა დასაჯონო. დამნაშავეებს გასაჩივრების უფლება 7-დან 9- ივლისამდე ექნებათ, 20 ივლისს კი საბოლოოდ გაცხადდება განაჩენი.

გუშინვე თანამდებობიდან გადადგა იტალიის ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტი ადრიანო გალიანი.

AFP ჰამბურგიდან

ნიონი, სიონი, ამერი და ვიტ ჯორჯია: ვის როგორი კენჭი შეხვდება



დღეს ნიონში კენჭი იყრება და ჩემპიონთა ლიგისა და უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპებზე მონაწილე გუნდები დაწყვილდებიან. ბუნებრივია, საფეხბურთო საქართველოს ყურადღებაც გერმანიის გარდა შვეიცარიაზეც გადანაწილდება — ბოლნისის „სიონი“, თბილისის „ამერი“ და „ვიტ ჯორჯია“ მეტოქეებს ელიან.

ამ სამეულიდან ორს დებიუტანტი შეგვიძლია ვუწოდოთ — მართალია, „სიონს“ უეფას თასზე ერთხელ უთამაშია, თუმც ჩემპიონთა ლიგას პირველად დააჭაშნიკებს; „ამერისთვის“ კი ევროთასი საერთოდ უცხო ხილია...

სხვათა შორის, „სიონიც“ და „ამერიც“ პირველ ეტაპზე განთესილთა შორის არიან, „ვიტ ჯორჯიას“ კი უსუსტესი კალათიდან მოუწევს უეფას თასზე თამაში.

წილისყრა თბილისის დროით 14 საათზე დაიწყება.

ოდესღაც დიდი ყოფილა ურუგვაი

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებმა თბილისI შემოთვალეს

თბილისს ევროპის ჩემპიონთა სტუმრობაც უნახავს და მსოფლიოს ჩემპიონთათვისაც უმასპინძლია, თუმცა სამხრეთამერიკული სანაკრებო ფეხბურთის მასპინძელი აქამდე არასოდეს ვყოფილვართ. ვიქნებით.

თითქმის გადაწყვეტილი ამბავია, რომ 15 ნოემბერს თბილისში საქართველოსა და ორგზის მსოფლიოს ჩემპიონ ურუგვაის ეროვნულ ნაკრებთა ამხანაგური მატჩი გაიმართება. შესათანხმებელი მხოლოდ დეტალებია, რომელთა მოგვარება დიდი პრობლემა არ უნდა ჩანდეს...

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

F ჯგუფი. III ტური

ხორვატია 2:2 ავსტრალია

№44. 22 ივნისი. 23.00. მიუნხარტი. „ბოლნის დაიმლერ მეიდიონი". 52 000 მაყურებელი

1:0 სრნა (2), 1:1 მური (38პ), 2:1 კოვაჩი (56), 2:2 კიუელი (79)

1 პლეტიკოშა

მწვრთნელი ზლატკო კრანჩარი

7 შიმიჩი — 3 შიმუნიჩი — 13 ტომაში

5 ტუდორი — 10 ნ. კოვაჩი

2 სრნა — 8 ბაბიჩი

19 კრანჩარი

18 ოლიჩი — 9 პრსო

10 კიუელი — 9 ვიდუკა

4 კეჰილი — 21 სტერიოვსკი — 7 ემერტონი

5 კულინა — 13 გრელა

14 ჩიპერფილდი — 3 მური — 2 ნილი

მწვრთნელი გუს ჰიდინკი

18 კალაჩი

შეცვლა: გრელა – 15. ალოიზი (63), კრანჩარი – 16. ჯ. ლეაო (65), სტერიოვსკი – 23. ბრეშიანო (71), ოლიჩი – 14. მოდრიჩი (74), ჩიპერფილდი – 19. კენედი (75), ტომაში – 17. ულასნიჩი (83)

გაფრთხილება: შიმიჩი (32), ტუდორი (38), შიმუნიჩი (61), პლეტიკოშა (70), ემერტონი (81), შიმიჩი (85), ემერტონი (87), შიმუნიჩი (90)

გაძევება: შიმიჩი (85), ემერტონი (87), შიმუნიჩი (90)

მსაჯები: გრემ პოლი;
ფილიპ შარპი, გლენ ტურნერი (ინგლისი)

21	ჯარიმა	24
3	კუთხური	9
8	ჯარისკენ დარტყმა	12
3	ჯარში დარტყმა	7
2	თამაშგარე	1

AFP შუტგარტიდან

დარიო სრნას გოლმა ავსტრალიელებს საქმე კი გაურთულა, მაგრამ ვერაფერი დააკლო

ჰიდინკის ჰარი და ჰარალე

კიუელმა ავსტრალია მარაქაში გარია

AFP შუტგარტიდან

მატჩის დაწყებიდან ორ წუთში მერვედფინალში ხორვატიის ნაკრები გადიოდა. 39-ე წუთზე იტალიის აჩრდილი უკვე გუს ჰიდინკის ავსტრალიას წამოადგა, 57-ეზე ხორვატთა კაპიტანმა კიდევ ერთი იმედი აჩუქა ხორვატიას, ფარდის დაშვებამდე ათი წუთით ადრე კი წერტილი ჰარი კიუელმა დასვა — 26 ივნისს კაიზერსლაუტერნში იტალიელებს ავსტრალიის ნაკრები დაუპირისპირდება.

ჰიდინკმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მისი ოთხი წლის წინანდელი წარმატება მხოლოდ მსაჯების სინდისზე არ ჰკიდია და რაგინდარა გუნდით რაგინდარა ჯგუფიდან გამსვლელია. თუმცა რატომ? ხორვატებმა მხოლოდ საკუთარ თავს დააბრალონ, რაც შეემთხვათ...

ავსტრალიისთვის ფრე სავსებით მისაღები შედეგი იყო, თითქმის გარანტირებულ მეორე ადგილს იძლეოდა და ერთადერთ საფრთხეს შეიცავდა — იაპონელებს დიდი ანგარიშით უნდა დაემარცხებინათ ბრაზილიელები. ჰიდინკი იმ ასაკში არაა, ზღაპრების დაიჯეროს. სამაგიეროდ, იმდენი კი იცის, რომ საუკეთესო დაცვა თავდასხმაა და ერთბაშად სამი ფორვარდი მიუშვა ხორვატთა კარზე. მარკ ვიდუკა რონალდოზე ნაკლებ დამძიმებული როდია, მაგრამ პიესის დასაწყისში კედელზე დაკიდებული თოფისა არ იყოს, როდის გაისვრის, ეშმაკმა უწყის. ამასობაში, მათი წილი ყურადღება კაჰილსა და კიუელსაც სჭირდებათ. მოკლედ, დაიბნა ხორვატთა დაცვა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მეორე წუთზე დარიო სრნამ მისივე წაქცევისთვის დანიშნული ჯარიმა ოციოდ მეტრიდან ცხრიანში გაჭედა და ხორვატები დაცვაზე გადავიდნენ.

ავსტრალია ვიდუკას მისამართით ჩაწოდებებს ფლანგურ გარღვევებს უნაცვლებდა და შეტევაში მეტოქეზე მრავალფეროვნად გამოიყურებოდა, თუმცა ტაიმის ბოლომდე ვერაფერს გამორჩა. უბრალოდ, ჯაჯგურა თამაშში ოკეანელები ოდნავ მეტად ორგანიზებული და დისციპლინირებული გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებდნენ. მათმა დაჟინებამ შედეგი შესვენებამდე ექვსი წუთით ადრე გამოიღო — საჯარიმოში ჩაწოდებულს დარიო შიმიჩმა ხელი დაუხვედრა და... პენალტი „გამოიმუშავა", კრეიგ მურმა კი პლეტიკოშას აუღებელი დაურტყა — 1:1.

მეორე ნახევარში ყველაფერი თავიდან დასაწყები გახდა, გოლის გატანა ხორვატიას სჭირდებოდა და როგორც შეეძლო, მიეძალა. ფაქტობრივად უთავდასხმელო ბალკანელებმა დიდი ვერაფერი ხიფათი შექმნეს მეტოქის კართან. დადო პრსო და ივიცა ოლიჩი მეტისმეტად ერთფეროვანნი და პროგნოზირებადნი იყვნენ, თუმცა გოლი მაინც გავიდა. 57-ე წუთზე ხორვატთა კაპიტანმა ნიკო კოვაჩმა ერთი მეტოქე ჩამოიცილა და საჯარიმოს წინა ხაზიდან დაარტყა. აუღებელი კი არა, უეჭველად ასაღებს რომ იტყვიან, ისეთი ბურთი იყო, რატომღაც ხელიდან რომ გაუსხლტა ავტრალიელთა მეკარეს და ბადეში შეგორდა.

2:1-ზე მერვედფინალში უკვე ხორვატები გადიოდნენ და მეტი რა ჩარა იყო, ავსტრალიამ ბოლო ძალები მოიკრიბა. ბლომად კი ჰქონიათ შემონახული — პლეტიკოშამ ჯერ კიუელს აუღო სასწაულებრივ, წუთის მერე ჩაწოდებული კუთხურისას კი ზედ კარის ხაზზე დაამიწა ბურთი — ნახევარი ავსტრალიის ნაკრები თითქოს სარაგბო მიძალებით ცდილობდა მეტოქის დალელოვებას, მაგრამ პლეტიკოშას ძვრა ვერ უყო.

ზემოთ მოგახსენეთ, ხორვატებმა მარცხი საკუთარ თავს უნდა დააბრალონო. მატჩის არბიტრს მათთვის განაჩენის გამოტანა 76-ე წუთზევე შეეძლო, იოსიპ შიმუნიჩმა ვიდუკას საკუთარ საჯარიმოში ხელით რომ ააცალა თავიდან ბურთი, მაგრამ მხედველობამ უმტყუნა. სამაგიეროდ, ბრმაც კი დაინახავდა ხორვატთა უხეშ შეცდომას, სამ წუთში მეკარის ბაქანში კიუელი უმეთვალყურეოდ რომ დატოვეს — ჰარიმ ბურთი გაისწორა და სულ ჰარი-ჰარალეთი გაიტანა ხორვატთა კარში.

...არადა, ხორვატებს ერთი ხეირიანი ფორვარდი რომ ჰყოლოდათ, ან ამ სამ მატჩში უხეირო დადო პრსოს ერთხელ, გადამწყვეტ მომენტში ევარგა, მაინც გავიდოდნენ მერვედფინალში. 84-ე წუთზე პრსო სრულიად მარტო აღმოჩნდა მეტოქის კართან და კარში დარტყმის მაგიერ გოდერძი მახარაძის რეკორდის მოხსნა გადაწყვიტა — სანამ შოთა არველაძის ექსპარტნიორმა ბურთი ფეხზე მოირგო, ავსტრალიელი მცველები ვითარებაში გაერკვნენ და ბურთი საჯარიმოს გაარიდეს.

თამაში დასრულდა. ხორვატებისთვის სულ ერთი იყო, არბიტრი დარიო შიმიჩსა და იოსიპ შიმუნიჩს გაძევებდა თუ ნახევარ შემადგენლობას. მათდა წილად, არც ავსტრალიელებს მოუკლავთ დიდად თავი — გაძევებული ბრეტ ემერტონი მერვედფინალში გასვლისთვის გაღებულ ზვარაკად ჩაითვალა.

არადა, ღირდა...

გიორგი ნოზაძე

საბოლოო ცხრილი

ბრაზილია	3	3	0	0	7:1	9
ავსტრალია	3	1	1	1	5:4	4
ხორვატია	3	0	2	1	2:3	2
იაპონია	3	0	1	2	2:7	1

F ჯგუფი. III ტური

იაპონია 1:4 ბრაზილია

№43. 22 ივნისი. 23.00. დორტმუნდი. „ვესტფალენშტადიონი". 65 000 მაყურებელი

1:0 ტამადა (34), 1:1 რონალდო (45), 1:2 ჟუნინიო (53), 1:3 ჟილბერტო (59), 1:4 რონალდო (81)

შეცვლა: ოგასავარა – 6. ჯ. ნაკატა (56), მაკი – 9. ტაკაჰარა (60), ტაკაჰარა – 16. ოგურო (66), რონალდინიო – 20. რიკარდინიო (71), ჯაკა – 11. ზე რობერტო (71), დიდა – 12. როკერიო სენი (82)

გაფრთხილება: ჯაკი (40), ჟილბერტო (44)

მსაჯები: ერიკ ჰულა; ლიონელ დაგორნე, ვენსან ტექსიე (საფრანგეთი)

9	*ჯარიმა*	6
3	*კუთხური*	11
9	*ჯარისკენ დარტყმა*	21
3	*ჯარში დარტყმა*	14
4	*თამაშგარე*	0

რონალდო დიდი გერდის გვერდით

AFP დორტმუნდიდან

რონალდო გუშინდელი ორი გოლით გერდ მიულერს გაუთანაბრდა, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატებზე 14-ჯერ გაუტანია.

ბრაზილიამ, ისევე, როგორც გერმანიამ და პორტუგალიამ, სამივე მატჩი მოიგო.

იაპონია გაცილებით სუსტი აღმოჩნდა ხორვატიაზე და ავსტრალიაზე. თუმც დაახლოებით ათი წუთის განმავლობაში მათაც ჰქონდათ სიხარულის მიზეზი, რადგან ტამადას კოხტაგოლით დაწინაურდნენ. ცოტა უცნაური იყო დიდას რეაქცია ტამადას დარტყმულზე — მუხლებზე დაეცა, თითქოს მოგერიებას არც აპირებდა. თუმც ისიცაა, რომ იაპონელმა ტყვიასავით შეჭედა ბურთი ცხრიანში და ბრაზილიელ მეკარეს მოგერიების შანსი არ დაუტოვა. ეს იყო და ეს, ამის მერე დიდას დიდად სანერვიულო აღარაფერი ჰქონდა, რადგან იაპონელებმა სულ სამჯერ შეძლეს კარის ჩარჩოში დამიზნება. რონალდომ კი, რომლის წონაზეც ლაპარაკობს ყველა, ვისაც არ ეზარება, დუბლი შეასრულა. პირველად იაპონელთა კარში სწორედ მან დაარტყა და კავაგუჩიმ იყოჩაღა. მერე ორჯერ რობინიომ, თითოჯერ რონალდომ და ჟუნინიომ სცადეს გატანა და ოთხჯერვე საუცხოოდ ითამაშა მეკარემ. თითქოს კარგად იდგა კავაგუჩი, მაგრამ ტაიმის მიწურულს მაინც „ყლაპა" — გამოსვლა დააგვიანა და რონალდომ თავით ახლო კუთხეში გაუტანა.

იმის უთქმელობა არ ეგების, რომ რობერტო კარლოსის, კაფუს, ადრიანოს, ემერსონის და ზე რობერტოს ნაცვლად მოთამაშე სათადარიგოებმა საქმე კარგად შეასრულეს.

ჟუნინიო პერნამბუკანომ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ შორიდან დარტყმა კარგად ეხერხება. ამჯერად საჯარიმო არ შეუსრულებია, მაგრამ საკმაო მანძილიდან ლამაზი გოლი გაუტანა კავაგუჩის.

ჟუნინიოს გოლიდან ექვს წუთში კი რონალდინიომ გააკეთა ის, რასაც ხშირად აკეთებს „ბარსელონაში" — საუცხო პასი გაუჩარხა მარცხენა ფლანგზე ჟილბერტოს, რომელმაც მარცხენა დაბალ კუთხეში გაიტანა.

ბოლოს კი იყო რონალდო, თავისივე წამოწყებული კომბინაცია გოლით რომ დაასრულა. ისე კოხტად ჩაუბზრიალა ბურთი კავაგუჩის, რომ იაპონელი მეკარე ამაოდ გაიწელა.

„ძალიან მიხარია, რომ ნელ-ნელა ფორმაში შევდივარ. მთავარია ნებისყოფა და შედეგიც არ დააყოვნებს. ვფიქრობ, რთული პერიოდი უკან მოვიტოვე" — თქვა მადრიდის „რეალის" ფორვარდმა, ვისაც პარეირა ბოლომდე ენდო და წინა მატჩისგან განსხვავებით, არ შეცვალა.

ეს იყო ბრაზილიის ნაკრების მიჯრით მეათე გამარჯვება მსოფლიოს ჩემპიონატებზე — 2002 წელს შვიდი მოიგო და სამიც ახლა მიაყოლო.

27 ივნისს დორტმუნდში ბრაზილია განას შეხვდება.

ნუ გამოტოვებთ გაღამწყვეტ გოლს!

სიახლე! ჯეოსელისა

GEO ჯეო

და ღამ-ღამის აბონენტებისთვის.

გოლი

გააგზავნეთ SMS-ი ნომერზე 2006

და გამოიწერეთ ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის განმავლობაში სრული ინფორმაცია ყველა მატჩისა და გატანილი გოლის შესახებ.

ფასი: 5 ლარი

აღნიშნული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მხოლოდ აქტიურ ნომრებზე.

ან ეწვიეთ Geogoli-ს wap.geocell.com.ge-ზე

და გადმოწერეთ:
ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის სხრილი,
მატჩების ანგარიშები,
ფეხბურთელების ფერადი სურათები,
გატანილი გოლების ვიდეო რგოლები,
ქვეყნის ჰიმნები.

FIFA WORLD CUP GERMANY 2006

ყველა, ვინც კი კარგ გოლს ელის ეთაგვლია ჯეოსელის

www.geocell.ge

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

E ჯგუფი. III ტური

ლიპი თავს გამანადგურებელში ხედავს

ჩეხეთი 0:2 იტალია

№41. 22 ივნისი. 18.00. ჰამბურგი. „AOL არენა“. 50 000 მაყურებელი

0:1 მატერაცი (26), 0:2 ინძაგი (87)

შეცვლა: ნესტა – 23. მატერაცი (17), პობორსკი – 17. შტაინერი (46), ჯილარდინო – 18. ინძაგი (60), ბაროში – 14. იაროლიმი (64), კამორანეზი – 17. ბარონე (74), კოვაჩი – 18. ჰაინცი (78)

გაფრთხილება: გატუზო (31), პოლაკი (35), პოლაკი (47)

გაძევება: პოლაკი (47)

მსაჯები: ბენიტო არჩუნდია;
ხოსე რამირესი (მექსიკა), ექტორ ვერგარა (კანადა)

18	ჯარიმა	17
4	კუთხური	5
11	კარისკენ დარტყმა	14
8	კარში დარტყმა	6
1	თამაშგარე	1

ჩეხები დიდ დიღომსა და ავჭალას შუა

AFP ბაბურგიდან

პირველი გოლი ჩეხებს მარკო მატერაციმ უთავაზა

იტლაია მერვედფინალში ისე გავიდა, როგორც სჩვევია — ჩეხებთან შეხვედრა თავისებურად, მაგრამ სრულად აკონტროლა. სხვა საქმეა, ვის მოსწონს და ვის არა ეს კატენაჩო. ერთი სიტყვით, თუ ჩვენს წერილს გემოვნებათა ბრძოლის ველად არ გადავაქცევთ, ხელში იტალიელთა დამაჯერებელი გამარჯვების ფაქტი შეგვრჩება. განა რა უნდოდა „სკუადრა აძურას“? სულ მცირე, ერთი ქულა და სამი მოიპოვა. მეტოქის შეტევათა ჩაცხრობა და ჩააცხრო კიდეც. ტემპი დააგდო და პაველ ნედვედის რამდენიმე გამობრწყინების გარდა კარელ ბრუკნერის ბიჭებს ღირსშესანიშნავი არაფერი გააკეთებინა. იქით ორი გაიტანა.... სხვა რას ჰქვია თამაშის კონტროლი, მაინც და მაინც ბურთის ფლობას? ვფიქრობთ, ეს უბრალოდ ერთ-ერთ ხერხთაგანია, გემოვნებაზე დავას კი, ვიმეორებთ, აქ არ ვაპირებთ.

მოდი, უფრო „ჩვენებურად“ ვთქვათ: წარმოიდგინეთ, რომ მავანს დასავლეთის მხრიდან თბილისში შემოსვლა უნდოდეს, მაგრამ დიდ დიღომთან გზა გადაკეტილი დახვდეს. ადგეს ეს ვიღაცა და გლდანის ხიდზე გადავიდეს, რათა ავჭალის გზატკეცილით შევიდეს ქალაქში, მაგრამ გზა ხიდის იქითა ბოლოშიც გადაკეტილი დახვდეს და იაროს ასე, ამერიკის საელჩოს წინ და უკან იმ იმედით, რომ რაღაც მომენტში ქალაქში შემოძვრომას შეძლებს. ისე, როგორც გითხარით, ერთი ორჯერ ჩეხები ამ პირობით ხერგილს კი გადაახტნენ, მაგრამ ორივეჯერ უკან, ხიდზე დააბრუნეს...

საბრალო ჩეხებს ამ ჩემპიონატზე ნამდვილად არ გაუმართლათ. გუშინ მათგან ყველაზე მეტად ყველაზე დიდი ვარსკვლავი პაველ ნედვედი ბრწყინავდა, მაგრამ თავდასხმაში ვერ უბამდნენ მხარს. ერთი გამოკვეთილი ფორვარდი მილან ბაროში იყო და ისიც, მოგეხსენებათ, პირველად ჩაერთო შეჯიბრებაში, იან კოლერი კი დაშავებული გახლდათ — ამ ჩემპიონატში სხვათა დახმარების გარეშე დაშავებულთა არცთუ პატარა არმიის წევრი — ხოლო ვრატისლავ ლოკვენცი დისკვალიფიცირებული.

ჩეხთა მწვრთნელს კარელ ბრუკნერს თავიდან მთელი აქცენტი ნახევარდაცვაზე ჰქონდა გადატანილი, როგორც ჩანს, გადამწყვეტ ფაქტორად მოედნის შუის მოგება მიაჩნდა, მაგრამ თავიდანვე გაირკვა, რომ რაღაც ამდაგვარი იფიქრა მარჩელო ლიპიმაც, რომელმაც წინა ორი თამაშისგან განსხვავებით მეორე თავდამსხმელი ლუკა ტონი მოხსნა და მარტოკაცის, ალბერტო ჯილარდინოს უკან ნახევარფორვარდ ტოტით ითამაშა.

შემდეგ, ერთი მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა — მე-17 წუთზე ალესანდრო ნესტამ საზარდულის ტკივილის გამო მოედანი დატოვა. ვფიქრობთ, ეს მისი და მილან ბაროშის შეჯახების შედეგი იყო. ნესტა მარკო მატერაციმ შეცვალა, რომელიც, მართალია, ნესტასავით პირველი კატეგორიის ვარსკვლავი არ არის, მაგრამ „ინტერის“ მცველია და ამით ბევრი რამ გახლავთ ნათქვამი. ერთი სიტყვით, ნესტას პოზიცია მატერაციმ დაიჭირა და აქედანვე უნდა გითხრათ, რომ ძლიერად ითამაშა, ხოლო მათთვის, ვინც მის მოედანზე გასვლას ერთგვარი ეჭვით შეხვდა, ჩეხების კარში გოლიც შეაგდო.

ეს 26-ე წუთზე მოხდა, როდესაც მარჯვნიდან კუთხური ფრანჩესკო ტოტიმ ჩააწოდა, მატერაციმ კი ახტომაში იან პოლაკს აჯობა და თავურით გოლი შეაგდო.

და აი, პოლაკამდეც მოვედით, რომელიც მატჩის ბედის კიდევ ერთი განმსაზღვრელი ფიგურა გახდა — ის 35-ე წუთზე ჯერ გააფრთხილეს, ხოლო მსაჯის წამატებულში მეორე ყვითლის ძალით გააძევეს კიდეც. მიზეზი: მეტოქის ნახევარზე ფრანჩესკო ტოტის წინააღმდეგ იუხეშა. საკითხავია, რატომ?

ჩეხთა ათი კაცით დარჩენამ იტალიელებს დიდ დიღომთან და ავჭალაში გზების გადაკეტვა კიდევ უფრო გაუმარტივა. მეორე ტაიმი სასეირო ფეხბურთის მომლოდინეთათვის მაინცდამაინც „ჰაილაითური“ არ გამოდგა, იტალიელთა ქომაგებისთვის კი მსუბუქად სანერვიულო და ძირითადად დამაკმაყოფილებელი იყო.

ბოლოს, 87-ე წუთზე, ჯილარდინოს ნაცვლად შესული ფილიპო ინძაგი სიმონე პეროტას პასით ფაქტობრივად უკვე უმცველოდ მოთამაშე მეტოქის მეკარესთან პირისპირ შევარდა, ჯერ მარჯვნივ გაიხედა, მერე მარცხნივ, მერე მეკარის მოტყუება გადაწყვიტა, ბურთი გაიგდო და ბადეში დაუმიზნა.

მატჩის შემდეგ „სკუადრა აძურას“ მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ განაცხადა: „იმ გუნდებს შორის, რომელიც ოდესმე გამიწვრთნია, დღევანდელი იტალიის ნაკრები ყველაზე მებრძოლი სულია, ის ნამდვილი გამანადგურებელია. ჩვენ ჯგუფში ორ უძლიერეს გუნდთან ორი ძალიან ძნელი თამაში მოვიგეთ, თავადვე უძლიერესად ვითამაშეთ და მერვედფინალში გასვლას ვიმსახურებდით“.

შემდეგ ლიპის ბრაზილიის ნაკრებზეც ჰკითხეს. მოგეხსენებათ, იტალიას ან ბრაზილიას თავიანთ ჯგუფებში მეორე ადგილზე გასვლის შემთხვევაში მერვედფინალში ერთმანეთთან გადაყრა ემუქრებოდათ.

„პირველ ადგილზე გასვლა ბევრი მიზეზითაა კარგი. რაც შეეხება ბრაზილიას, ადრე თუ გვიან ფავორიტებს ხომ უნდა ეთამაშო“.

ჩეხეთის ნაკრების თავკაცი კარელ ბრუკნერი: „თანამედროვე ფეხბურთში ათი კაცით თამაში ძალიან ძნელი გახდა. თან ტრავმებისა და დისკვალიფიკაციების გამო ბევრი მოთამაშე დაგვაკლდა“.

ხოლო მილან ბაროშმა ყველაფერი მეორე ტურში განასთან მარცხს დააბრალა.

„ის თამაში უნდა მოგვეგო და ეჭვი არაა, დღეს მერვედფინალში ვიქნებოდით“.

პაპუნა კედია

საბოლოო ცხრილი						
იტალია	3	2	1	0	5:1	7
განა	3	2	0	1	4:3	6
ჩეხეთი	3	1	0	2	3:4	3
აშშ	3	0	1	2	2:6	1

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

E ჯგუფი. III ტური

განა 2:1 აშშ

№42. 22 ივნისი. 18.00. ნიურნბერგი. „ფრანკენშტადიონი". 41 000 მაყურებელი

1:0 დრამანი (22), 1:1 დემპსი (43), 2:1 აპია (45ა)

შეცვლა: რეინა – 14. ოლსენი (40), ბოატენგი – 20. ო. ადო (46), ამოა – 18. ე. ადო (59), ჩერუნდოლო – 9. ე. ჯონსონი (61), ლუისი – 15. ჯონვი (74), დრამანი – 12. ტაჩე-მენსა (80)

გაფრთხილება: ესიენი (5), ლუისი (7), შილა (32), მენსა (81), აპია (90)

მსაჯები: მარკუს მერკი;
ჯრისტიან შრაერი, იან-ჰენდრიკ ზალვერი (გერმანია)

32	ჯარიმა	16
2	კუთხური	7
9	ჯარისკენ დარტყმა	7
4	ჯარში დარტყმა	3
8	თამაშგარე	6

განაჩენი ამერიკისთვის, დანარჩენი აფრიკისთვის

AFP ნიურნბერგიდან

რიჩარდ კინგსონი: უხარია კაცს, თავისებურად, აფრიკულად...

ტუნისისას ჯერ ვერას მოგახსენებთ, აფრიკის ჩემპიონთა ბედი დღეს გადაწყდება, მაგრამ არაბებმა უკრაინელებთან რომც წააგონ და გერმანულ ბალახს ასე გამოეთხოვონ, შავი კონტინენტისთვის მაინც არ დამთავრდება მსოფლიოს ჩემპიონატი. განა ყოველთვის ახლოს უტრიალებდა მუნდიალს, ახლა იქ პირველად მოხვედრილმაც სამი სხვა შავ-შავი დებიუტანტისგან განსხვავებით შანსი ხელიდან არ გაუშვა და ბრძოლით და დამსახურებულად მოიპოვა მერვედფინალში თამაშის უფლება, სადაც თვით ბრაზილიის ფხის მოსინჯვის პატივი მიეგება.

განელთა ლიდერი მიკაელ ესიენი ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩამდეც და მის შემდეგაც ლამის სრულიად აფრიკის მხსნელის და გადამრჩენის სახელით ლაპარაკობდა — „ჩვენ მოვიგეთ (თამაშამდე ამბობდა — „მოვიგებთ") განისთავის და მთელი აფრიკისთვისაც."

მან და მისმა თანაგუნდელებმა სიტყვა შეასრულეს, ჩეხეთის მიწასთან გასწორების შემდეგ ცოტა ნაკლებ დამაჯერებლად, ცოტა მსაჯის შეცდომის წყალობით, მაგრამ მაინც დაამარცხეს აშშ და იტალიის ზურგსუკან ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავეს.

გადასარევი შედეგია დებიუტანტი გუნდისთვის, მაგრამ თურმე ჯერ სადა ვართ! ერთი მათ სერბ თავკაც რატომირ დუიკოვჩს მოვუსმინოთ — „მანამდეც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ: ჩვენი სამიზნე ნახევარფინალია და ნებისმიერ გუნდს, რომელიც შეგვხვდება, იმასვე ვუზამთ, რაც ჩეხეთს და აშშ-ს ვუქენით..." არაფერს ვაჭარბებთ, ზუსტად ასე თქვა ამ პატივცემულმა კაცმა. კეთილი, მაგრამ ბრაზილიას რაღა? დუიკოვიჩი ამბობს, ბრაზილია კია მსოფლიოს საუკეთესო გუნდი, მაგრამ ჩემი ვარსკვლავები, აგერ ნახავთ, როგორ გაგწვალებენო.

კაი ბატონო, ვნახოთ...

ისე კი, განელთა ნამატჩევ კომენტარებში ტრაბახისა და მუქარის მსგავსი ინტონაციების გარდა სინანულიც გაისმა — მათ ხომ ბრაზილიასთან ესიენი არ ეყოლებათ, ვინაც სამ თამაშში ბეჯითად გამომუშავებული ორი ყვითლის გამო მერვედფინალს გამოტოვებს. ესიენმა ამერიკასთან შეხვედრის უკვე მეხუთე წუთზე მიიღო გაფრთხილება, რასაც მისმა თანაგუნდელებმა კიდევ სამი დაამატეს. საზოგადოდ, განელთა მონდომება და მერვედფინალში თამაშის წყურვილი მათ ხშირ ჯარიმიანობაშიც აისახა — აფრიკელები 32-ჯერ დაჯარიმდნენ, მაგრამ გერმანელმა მსაჯმა მარკუს მერკმა ერთ ეპიზოდში ისე დააჯარიმა ამერიკელები, რომ მატჩის მსვლელობაზე აშკარად იქონია გავლენა. ამერიკელი მცველის ოგუჩი ონიეკუსა და განელი თავდამსხმელის რაზაკ პიმპონგის კონტაქტს ძალისმიერი ორთაბრძოლაც არ ეთქმოდა, ორივე იდგა, ერთმანეთს ეხებოდნენ, მერე კი განელი მეტოქის დახმარების გარეშე წაიქცა და მერკმაც ჩასტვინა. და ვინაიდან ეს ყველაფერი ამერიკელთა საჯარიმოში ხდებოდა, აფრიკელებს პენალტი, ამერიკელებს კი საკუთარ კარში მეორე გოლი ერგოთ პირველი ტაიმის დამატებულ წუთებზე.

საზოგადოდ, პირველი ნახევარი მეორეზე გაცილებით უმჯობესი გამოდგა მიუხედავად იმისა, რომ თამაშის „დალაგებას" მთელი 20 წუთი დასჭირდა. ნურც ამერიკელებისას დავივიწყებთ, მოგების შემთხვევაში მერვედფინალში გასვლის რეალური შანსი მათაც უჩნდებოდათ, ასე რომ, მოტივაცია არც მათ აკლდათ.

მოედნის ცენტრისთვის ქაოტური ბრძოლა კარგა ხანს გაგრძელდა, ტაიმის შუაწელს კი ანგარიშიც და შემდეგ თამაშიც გაიხსნა. 22-ე წუთზე ამერიკელები გამოუცდელი ბალღივით დააღალატა მათმა კაპიტანმა კლაუდიო რეინამ — საკუთარ საჯარიმოსთან ათიოდ მეტრში ჰამანუ დრამანის მოტყუება მოინდომა, მაგრამ ბურთი დაკარგა და აფრიკელი პირისპირ შეატოვა კელერს, რომელიც უძლური აღმოჩნდა.

გოლმა განელებს ფრთები შეასხა და მეტი მონდომებითაც შეუტიეს მეტოქეს, მაგრამ რამდენიმე კონტრშეტევა გაეპარათ და ბოლოს დაცვაში უყურადღებობის გამო კიდეც დაისაჯნენ. ამერიკელთა გოლი რაღაცით ჰგავდა აფრიკელებისას. დამარკუს ბისლიმ განელთა მცველებისგან ნაჩუქარი ბურთი შეირგო და მათთვის სრულიად მოულოდნელად მეკარე რიჩარდ კინგსონის წინ თითქოს მიწიდან ამოიზარდა, თუმც კარში დარტყმას კლინტ დემპსისთვის განივი პასის მიწოდება არჩია და ამანაც უძლიერესი დარტყმით 43-ე წუთზე გაათანაბრა.

მერე კი იყო მერკის ის შეცდომა, ზემოთ რომ მოგახსენეთ — მთელი 50 წუთი უგოლო და უღიმღამო ბურთაობა, რომელშიც ამერიკელებმა თითქოს მოაწყვეს რაღაც შტურმის მაგვარი, მაგრამ ვერაფერი შეცვალეს და მსოფლიოს ჩემპიონატი იტალიასთან მონაგრებული ერთადერთი ქულით დაასრულეს.

ირაკლი ფირაზვილი

თმის გადანერგვის კლინიკა
«ჰეალაინ ინტერნეიშნლ»
ბელომძღვანელი ჰროფ. თამაზ თამაზაშვილი

უყურე ფეხბურთს
ჩვენთან ერთად
დაშედეგით
კმაყოფილი დარჩები

- უფასო კონსულტაცია, კონფიდენციალობა
- გარანტირებული შედეგები
- უახლესი ტრავმატული ამბულატორიული ტექნოლოგიები

HAIRLINE INTERNATIONAL

მსოფლიო და ამერიკის თმის გადანერგვის ასოციაციების მიერ სერთიფიცირებული

ერთადერთი კლინიკა ამერიკავკასიაში

ქავთარაძის 16 (სამეცნიერო ცენტრი)
ტელ: 30 00 30; (893)62 32 62

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

დღეს. G ჯგუფი. III ტური

პატრიკ, სინათლე ჩართე!
ზიდანი სანთლებს შეუბერავს



სამი მუშკეტერი: რიბერი, ანრი და ტრეზეგე

მერვედფინალში გასასვლელად საფრანგეთმა ტოგოს ორგოლიანი სხვაობით უნდა მოუგოს... ზინედინ ზიდანის გარეშე. კაცმა რომ თქვას, გუნდი, რომელიც ზიდანთან ერთადაც შორს იყო დიდი საჩემპიონო ფეხბურთისგან, მის გარეშე რაღა უნდა იყოს, მაგრამ ნუ ვიჩქარებთ, აგერ, სამფეროვანთა ფორვარდი, ტიერი ანრი როგორი იმშვიდებს თავს.

„დიდ გუნდებს, მაგალითად იტალიას და გერმანიას, ჰქონიათ ჩემპიონატები როდესაც მძიმედ დაუწყიათ, მაგრამ მერე დიდებულად უთამაშიათ. ამიტომ, მთავარია ჩვენ თავად გვწამდეს საკუთარი თავისა".

საინტერესოა, რომ დღეს ზიდანს დაბადების დღე აქვს, 34 წლისა ხდება. ნეტავ რა საჩუქარს მიართმევს, ხშირად ასე ცინიკური ბედი, ბოლო ათწლეულის მსოფლიოს ერთ-ერთ უდიადესს? და კიდევ, რაკიღა დღეობებზე დავიწყე საუბარი — დღეს პატრიკ ვიეირაც იუბილარია, 30-ისა ხდება. აი, მას კი შეუძლია თავად სცადოს საკუთარი სამუნდიალო მომავლის შექმნა.

„საშინელებაა, პირველ ორ შეხვედრაში ისე შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს გულგატეხილები გავდიოდით მოედანზე. მერედა, მომენტებსაც ვქმნიდით და ხელიდან ვუშვებდით, მაშინ როდესაც ზუსტად ვიცი, რომ გაცილებით უკეთ შეგვიძლია თამაში. იმედი მაქვს, ტოგოსთან თამაში სინათლის ჩამრთველის როლს ითამაშებს, ერთი გაჩხაკუნებით ყველაფერი, რომ შეიცვლება".

შეგახსენებთ, რომ პატრიკ ვიეირას კორეელებთან შეხვედრაში აშკარა გოლი არ ჩაუთვალეს, ხოლო შვეიცარიელებთან მატჩის დროს, რუსმა მსაჯმა ივანოვმა ფრანგების სასარგებლოდ უცხადესი პენალტი არ დანიშნა.

„დომენეკი მსაჯთა შეცდომებზე ლაპარაკით, ხალხის ყურადღების საკუთარი სისუსტეებიდან გადატანას ცდილობს" — რატომღაც ანჩხლად ჩაერია საქმეში შვეიცარიელი ფორვარდი მარკო შტრელერი. მის ნათქვამში ჭეშმარიტების მარცვალი არის და თან ძალიან დიდიც, მაგრამ მეორე მხრივ პენალტი პენალტია, გოლი კი გოლი და ვერც ამას გავექცევით.

ვინ ითამაშებს ზიდანის ნაცვლად? ეს საიდუმლოა... უფრო სწორად უნდა ყოფილიყო. საქმე ის გახლავთ, რომ ჯერ კიდევ შვეიცარიის ნაკრებთან შეხვედრის წინ დომენეკს უსიამოვნო ამბავი გადახდა: ვარჯიში დახურა, რათა რიბერისთვის, ძირითად შემადგენლობაში თამაშის წვრილმანები, გარეშე თვალისგან მალულად აეხსნა, მაგრამ მთელი მისი საიდუმლოებები მეორე დილით „ეკიპსა" და „პარიზიენში" წაიკითხა. ახლა, ტოგოსთან თამაშის წინ, ოთხშაბათ საღამოსაც დახურა ჭაღარა მწვრთნელმა ვარჯიში, შემდეგ იეშმაკა და ეს დახურული ვარჯიში მოულოდნელად ხუთშაბათ დილისთვის გადადო, მაგრამ ფრანგი ჟურნალისტები, მართალია ნაკლებ სკანდალური ფორმით, მაგრამ მაინც ამტკიცებენ, რომ ზუსტად იციან თუ რა შემადგენლობით ითამაშებენ სამფეროვნები. კერძოდ, დისკვალიფიცირებული აბიდალის ნაცვლად მიკაელ სილვესტრს ვიხილავთ, წინ ზიდანის ნაცვლად რიბერი, ხოლო თავდასხმაში დავიდ ტერზეგე და ტიერი ანრი იქნებიან.

ტოგოელები კი ამასობაში, თვალსა და ხელს შუა თავზედდებიან — მოჰამედ კადერმა, მაგლითად ასე თქვა, ფრანგებს კარგი ფეხბურთელები კი ჰყავთ, მაგრამ ეგ გუნდი არ არისო. რაც შეეხება შემადგენლობას, მოდი და მიხვდი რამეს, ოტო პფისტერმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, 23 ფეხბურთელი მყავს და როგორ ექსპერიმენტსაც მინდა, ისეთს ჩავატარებო.

პაპუნა კედია

ტოგო — საფრანგეთი

კიოლნი. „რაინენერგიშტადიონი". 23.00

16. აგასა; 2. ნიბომბე, 3. აბალო, 5. ჩანგაი, 8. აგბოჰი; 9. დოსევი, 10. მამამი, 6. აზიავონუ, 17. კადერი; 13. ფორსონი, 4. ადებაიორი მწვრთნელი: ოტო პფისტერი	16. ბარტეზი; 19. სანიოლი, 15. ტურამი, 5. გალასი, 13. სილვესტრი; 22. რიბერი, 4, ვიეირა, 6. მაკელელე, 7. მალუდა; 12. ანრი, 20. ტრეზეგე მწვრთნელი: რაიმონ დომენეკი

მსაჯი: ხორხე ლარიონდა (ურუგვაი)



ასიანი და ორმოცდაათიანი
თამაში სხეულის ნაწილებით

შვეიცარია — კორეა

ჰანოვერი. „AWD არენა". 23.00

1. ცუბერბიულერი; 23. ფ. დეგენი, 20. მიულერი, 4. სენდეროსი, 3. მანინი; 7. კაბანასი, 8. ვიკი, 6. ფოგელი, 16. ბარნეტა; 9. ფრეი, 11. შტრელერი მწვრთნელი: იაკობ კუნი	1. ვ. ლი; 4. ჯ. ჩოი, 2. ი. კიმი, 3. დ. კიმი; 22. ჩ. სონგი, 5. ნ. კიმი, 17. ჰო, 12. ი. ლი; 7. ჯ. პარკი, 19. ჯ. ჩო, 11. სეოლი მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი

მსაჯი: ჰორაციო ელიზონდო (არგენტინა)

შვეიცარიას ფრეც ჰყოფნის მერვედფინალში გასასვლელად. კობი კუნს ეიმედება, რომ მისთვის საიუბილეო, 50-ე სანაკრებო მატჩში გუნდი სასურველ შედეგს მიაღწევს და ჯგუფიდან ღიღინით გავა. კუნი გაუთანაბრდა პაულ ვოლფისბერგს, რომელსაც ასევე 50-ჯერ გაუყვანია შვეიცარია მოედანზე, მაგრამ ჩამორჩება კარლ რაპანს (77).

იუბილე აქვს კორეელთა მეკარე ვონ იაე ლისაც — დღეს მე-100 სანაკრებო მატჩს ითამაშებს. ლიმ ოთხი წლის წინ, მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოიჩინა თავი. იგი იყო კაპიტანი და თილისმა ნაკრებისა, რომელსაც გუს ჰიდინკი თავკაცობდა და ნახევარფინალში დამარცხდა.

„ყველანი მობილიზებულები ვართ და შვეიცარიასთან თამაშზე ვფიქრობთ — განაცხადა ლიმ — საფრანგეთთან მატჩის წინაც ვთქვი, რომ ხელით თუ ვერ მოვიგერიებ ბურთს, სხეულის ნებისმიერი ნაწილს გამოვიყენებ, ოღონდ გოლი არ გავუშვა. ძალიან მინდა, რომ მე-100 თამაში მოვიგოთ".

„ჩვენ მოგებას ვაპირებთ — აღნიშნა იუნგ ჩულ კიმმა — როგორც ყოველთვის, გადამწყვეტ მომენტში კორეელებს ბრძოლის ჟინი უორმაგდებათ. კარგად ვიცით მეტოქის სუსტი წერტილები და უნდა გამოვიყენოთ".

„მთავარია, ტაქტიკურად გამართულად ვითამაშოთ, ისევე, როგორც საფრანგეთთან — განაცხადა დიკ ადვოკაატმა — შვეიცარია კარგად „აწყობილი" გუნდია. შეტევა უყვართ და სულ ერთია, მეტოქედ ინგლისი ეყოლებათ თუ კორეა. ეს მათი სტილია, რომელიც კარგად შევისწავლეთ. ჩემს დავალებას ფეხბურთელები სათანადოდ თუ შეასრულებენ, მჯერა, რომ მოგებას შევძლებთ".

კორეელთა ფორვარდი ჯაე ჯინ ჩო ამბობს: „შეიძლება, შვეიცარიამ ყურადღება მოადუნოს, რაკი იციან, რომ ფრეც ჰყოფნით მერვედფინალში გასასვლელად. სწორედ ეს უნდა გამოვიყენოთ".

შვეიცარიელ ჰაკან იაკინს კი მიაჩნია, რომ: „რაკი ფრეც ხელს გვაძლევს, დაცვიდან უნდა ვითამაშოთ და კონტრშეტევებზე გადავეწყოთ. ეს ჩვენთვის უკვე უპირატესობაა".

„ვერ ვხედავ მიზეზს, თუ რატომ ვერ უნდა შევძლოთ ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლა — ამბობს ჯი სუნგ პარკი — ვითამაშებთ ისე კარგად, როგორც 2002-ში".

კორეელთა იუბილარი მეკარე

შვეიცარიას, რომელიც ევრო 2008-ის თანამასპინძელია, ჩემპიონატის მონაწილეთაგან ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა გუნდი ჰყავს.

„მე ვფიქრობდი, რომ ახალგაზრდებს მსოფლიოს ჩემპიონატზე გაუჭირდებოდათ, მაგრამ თავადაც ნახეთ, რაოდენ შესანიშნავად თამაშობენ. შეიძლება ითქვას, რომ გრაფიკს გაასწრეს. ჩემთვის საიუბილეო მატჩში ტორტს არ ვითხოვ, სამი ქულა და მერვედფინალში გასვლა მინდა".

ბოლოს კი შემადგენლობებზეც ვთქვათ. შვეიცარიელებს ტრავმირებული ჰყავთ დანიელ გიგაქსი და ვალონ ბეჰრამი, კორეელებთან კი ყველა ჯანზეა. გამორიცხული არაა, ადვოკაატმა თავიდანვე ათამაშოს იუნგ ჰვან ანი, რომელიც წინა ორ მატჩში შეცვლაზე შევიდა და თავისი სიტყვა თქვა.

შვეიცარია	2	1	1	0	2:0	4
კორეა	2	1	1	0	3:2	4
საფრანგეთი	2	0	2	0	1:1	2
ტოგო	2	0	0	2	1:4	0

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

დღეს. H ჯგუფი. III ტური

სულთანს ფული სულ თან აქვს

არაბმა ესპანური თავები ევროებში შეაფასა

სანტიაგო კანისარესი

საუდის არაბეთთან ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩში ლუის არაგონესი მეორე შემადგენლობას გამოიყენებს. სალგადო, მარჩენა, ხუანიტო, ანტონიო ლოპესი, რაული — ყველა ეს ჩაუჯი აქამდე თუ სათადარიგო სკამთან ძმაკაცობდა, დღეს სასტარტო თერთმეტში იჯნება და დამტკიცებს, რომ მზადაა, სამშობლოს ღირსება დაიცვას.

ძირითადში კი ფერნანდო ტორესს ვერ ვიხილავთ — მწვრთნელმა, მუნდიალზე უკვე სამი გოლის გამტანი „ელ ნინიო" მერვედფინალისთვის შეინახა და „ატლეტიკოს" ფორვარდის შანსები, მეგოლეობაში დღესვე გადაასწროს გერმანელ კლოზეს, ფრიად მცირდება. აი, რაული სხვა საქმეა. თუ „რეალის" კაპიტანმა არაბებთან ერთი გოლი მაინც შეაგდო, ესპანეთის ნაკრების ისტორიაში მუნდიალებზე მთავარმეგოლედ იქცევა. მსოფლიოს ჩემპიონატებზე რაულს აქამდე მეტოქეთა კარი 5-ჯერ დაულაშქრავს, ისევე, როგორც სტანისლაო ბასორას, ფერნანდო მორიენტესს, ემილიო ბუტრაგენიოს და ფერნანდო იეროს. თუმც ზემოჩამოთვლილნი გერმანია 2006-ზე არ თამაშობენ და გონსალეს ბლანკო ისე როგორ წახდება, ბურთს ერთხელ რომ მაინც ვერ დაარტყას საგოლედ ფეხი...

„ფურია როხას" კარში სანტიაგო კანისარესი იქნება. 36 წლის ვალენსიელი, ლუის არაგონესის გადაწყვეტილებით, იკერ კასილიასს შეცვლის. დიდი წარდგენა არ სჭირდება ბებერ სანტიაგოს, 1994 წლიდან მუნდიალებზე თამაშობს და, ალბათ, წლეულს ასეთ დიდ ტურნირზე მისი ბოლო მონაწილეობაა — ძალიან საეჭვოა, 2010-ში ისევ შეიყვანონ „ფურია როხას" შემადგენლობაში.

ესპანეთი უკვე მერვედფინალშია. საუდელ არაბებსაც 1 ქულა აქვთ და H ჯგუფში სასწაულებრივი მოვლენები უნდა დატრიალდეს (მაგალითად ესპანეთს მოუგონ) გათამაშების მეორე ეტაპზე რომ გავიდნენ. ამიტომაცაა, საუდის არაბეთის პრინცმა სულთან ბინ ფაჰდ აბდულაზიზმა თანამემამულე ფეხბურთელები რომ შეაგულიანა — აბა, თქვენ იცით, თუ ესპანელებს დაამარცხებთ, თითოეული მოთამაშე 52 ათას ევროს მიიღებსო... აზიურმა გუნდმა წინა თამაში უკრაინასთან 0:4 წააგო, მაგრამ პრინცმა ჟურნალისტებს მოწყალედ ამცნო, ესპანეთთან ძალიანაც რომ გავთახსირდეთ, მწვრთნელად მაინც ბრაზილიელ პაკეტას დავტოვებთო.

დასასრულს აღვნიშნოთ, რომ შეხვედრის არბიტრი 39 წლის ბენინელი კოფი კოჯა იქნება. კოჯა სამშობლოში საზღვაო ინსპექტორიცაა, არბიტრობას ამ თანამდებობას უთავსებს. აქეთ ესპანეთი, იქით არაბეთი და მსაჯულად აფრიკელი მეზღვაური კაცი...

ლადო ხომერიკი

საუდის არაბეთი — ესპანეთი

კაიზერსლაუტერნი. „ფრიც ვალტერ შტადიონი". 18.00

1. ალ დეაია; 3. ტუკერი, 4. ალ მონტაშარი, 13. სულეიმანი, 2. დოხი; 14. ალ ხარირი, 6. ალ ჯამდი, 8. ნოორი, 9. ალ ჯაბერი, 16. ალ ტაკერი; 20. ალ კატანი მწვრთნელი: მარკოს პაკეტა	19. კანისარესი; 2. სალგადო, 12. ა. ლოპესი, 4. მარჩენა, 20. ხუანიტო; 6. ალბელდა, 13. ინიესტა, 18. ფაბრეგასი; 17. ხოაკინი, 7. რაული, 10. რეიესი მწვრთნელი: ლუის არაგონესი

მსაჯი: კოფი კოჯა (ბენინი)



არაგონესი და რაული

ზიადმა გააზვიადა: ტუნისი საფრანგეთს შეხვდება



ზიად ჯაზირი შევჩენკოს უკრაინის დამარცხებას და მერვედფინალში გასვლას აპირებს

უკრაინა — ტუნისი

ბერლინი. „ოლიმპიაშტადიონი". 18.00

1. შოვკოვსკი; 9. გუსევი, 6. რუსოლი, 17. ვაშჩუკი, 2. ნესმაჩნი; 11. რებროვი, 4. ტიმოშჩუკი, 8. შელაევი, 19. კალინიჩენკო; 7. შევჩენკო, 10. ვორონინი მწვრთნელი: ოლეგ ბლოხინი	1. ბუმნიჟელი; 6. ტრაბელსი, 15. ჯაიდი, 3. ჰაგუი, 19. აიარი; 20. ნამუში, 12. მნარი, 14. ჩედლი, 8. ნაფტი, 13. ბუაზიზი; 5. ჯაზირი მწვრთნელი: როჟე ლემერი

მსაჯი: კარლოს ამარილია (პარაგვაი)

უკრაინელებს შემდეგ ეტაპზე გასასვლელად ფრეც ჭყოფნით, მაგრამ მოგებაზე თამაშს აპირებენ. ესპანეთთან სამარცხვინო წაგების შემდეგ ოლეგ ბლოხინმა საუდეთთან 3-5-2-ით ითამაშა, რამაც აშკარად გაამართლა და იგი ტუნისთანაც ამ ტაქტიკას მიმართავს.

შესაბამისად, კვლავ ძირითად შემადგენლობაში იქნებიან და შემტევ ნახევარმცველებად მოგვევლინებიან სერგეი რებროვი და მაქსიმ კალინჩენკო, რომელიც საუდელებთან შეხვედრის მერე მატჩის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. უცვლელი იქნება თავდასხმის წყვილიც, ორი ანდრეი — შევჩენკო და ვორონინი.

„ფრეც და მოგებაც ჩვენთვის მისაღები იქნება, ტუნისს კი მხოლოდ გამარჯვება სჭირდება. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ქულაზე ვითამაშებთ, რადგან ყველა ფეხბურთელმა იცის, რა შეიძლება მოჰყვეს ფრეზე თამაშს. მინდორზე მოსაგებად გავალთ, რისთვისაც ნახევარდაცვის აქტიურობა გვჭირდება. ზუსტად ისეთი, როგორც საუდეთთან. განსაკუთრებით კალინჩენკოს გამოვარჩევ. იგი ნაკრებისთვის და პირადად ჩემთვისაც ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელია. საუდეთთან ერთი საგოლე პასი მეც გამიკეთა და მოგვიანებით ვალი დავუბრუნე" — აღნიშნა უკრაინელთა კაპიტანმა ანდრეი შევჩენკომ.

სერგეი რებროვი: „პირველი მატჩის მერე ყველა უმოწყალოდ გვაკრიტიკებდა, მაგრამ როგორც კი საუდელებს გოლი გავუტანეთ, შვება ვიგრძენით. დაძაბულობა მოგვეხსნა და ვაჩვენეთ, რაც შეგვიძლია. იმედია, ტუნისთანაც ასე კარგად ვითამაშებთ, განწყობა საბრძოლოა".

მიუხედავად იმისა, რომ ტუნისელებს მოგება სჭირდებათ, წინასწარი ინფორმაციით, ფრანგი მწვრთნელი როჟე ლემერი 4-5-1-ით აპირებს თამაშს. ერთადერთი გამოკვეთილი ფორვარდი ზიად ჯაზირი, იქნება რომელიც აფრიკელთა რიგებში მართლაც საუკეთესოა.

ტუნისელები საუდეთთან და ესპანეთთან მატჩების პირველ ტაიმში ჩინებულად გამოიყურებოდნენ. აფირკელები ორივე მატჩს იგებდნენ კიდეც, მაგრამ მერე თითქოს რაღაც იცვლებოდა, უპირატესობას თმობდნენ და საბოლოოდ სასურველი შედეგის მიღწევას ვერ ახერხებდნენ. ლემერს იმედი აქვს, რომ ეს აღარ განმეორდება.

„რა თქმა უნდა, ჩემი გუნდის მჯერა. იმედია, წინა მატჩები ჩვენთვის გაკვეთილი იქნება და როცა დავწინაურდებით, აღარ გაჩერდებით. შეტევაში მეტი აქტიურობაა საჭირო. განწყობა ოპტიმისტურია" — თქვა ლემერმა.

ზიად ჯაზირი: „ყველაზე კარგი იქნება, თუ მერვედფინალში საფრანგეთს შევხვდებით. თუმცა იქამდე უკრაინა გვყავს დასამარცხებელი და ახლა ამაზე ვართ კონცენტრირებული".

უკრაინელთა ერთადერთი დანაკლისი ვლადიმირ იეზერსკია, რომელსაც ტრავმა აქვს. ტუნისელთა ბრაზლიური წარმოშობის ვარსკვლავი ფრანსელინო დუშ სანტუში ბოლომდე ისევ არ მომჯობინებულა და, ექიმების თქმით, მისი თამაში საეჭვოა.

გიორგი კაკაბაძე

ესპანეთი	2	2	0	0	7:1	6
უკრაინა	2	1	0	1	4:4	3
ტუნისი	2	0	1	1	3:5	1
საუდეთი	2	0	1	1	2:6	1

გიო ალავერდიანის
სვეტეული

შამანი მეფუტბარეთში

სექსის უფლება: ცოტა შეიძლება



ტაილანდელ ბუდისტ ბერებს დიდი გაჭირვება ადგათ: ცისკრის ლოცვათა ასრულება გასჭირვებიათ. მიზეზი კი ის ყოფილა, რომ გვიანობამდე უზიან ფეხბურთს. ობერჰაუზენელ პასტორს თავისი ეკლესიის ფილაქანი გადაუღებავს და ფეხბურთის მოედანივით დაუხაზავს.

მგონი, ამ ამბებში ის იგულისხმება, რომ მსოფლიო ჩემპიონატი კარგი საცქერია.

დიდი რამე, თუ, ვთქვათ, ბერლინში მთვრალი ფანები იჩხუბებენ. მითუმეტეს, რომ ასე არტისტულად დაწყებული თბილისის ფან-ფესტივალი აქა-იქ უკვე გაწევ-გამოწევებითა და საქმის გარჩევებითაც გამდიდრდა.

ჭეშმარიტი ფანები ილეშებიან. აქვთ ეს თვისება: აგე, ფრანკფურტელ ლუდისმსმელებს გამოუთვლიათ, რომ იქ მყოფი ყოველი ინგლისელი დღეში საშუალოდ ხუთ ლიტრ ლუდს მოიხმარს.

მოიხმარს, რა. ხვრეპს.

ამაში არც გერმანელები ჩამორჩებიან.

საინტერესო იქნებოდა ლუდის სტატისტიკა თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქებში მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში. ლუდის რეკლამას აუცილებლად დაიმახსოვრებ: მეტიც, ტელევიზორით შებოლილი თევზების ფცქვნის, თევზის ფილტვის ასანთით მოწვის ხელოვნებასაც ისწავლით და ათას სხვა რამესაც. ვთქვათ, გაიგებ, რომ მსოფლიოს ვერც ერთ სტადიონზე ლუდის ბოთლით და ქილით ვერ შეხვალ და ამაზე გაბრაზებულმა შეგიძლია, უკეთესი დრო გაატარო ტელევიზორთან.

იმიტომ, რომ სტადიონზე ეგებ ბოთლიც გაისროლო მინდვრისკენ, რასაც ეგებ თამაშის ჩაშლაც მოჰყვეს, პლასტმასის კათხა კი რამდენ ხანსაც გინდა ისროლე, არ მიფრინავს.

ჩვენ, საერთოდ, ნაცადი ხალხი ვართ ბოთლების სროლაში. განსაკუთრებით, ნორჩები, რომლებიც საქართველოს ნაკრების შესარჩევ ციკლებში „კოკა კოლას“ ლიტრნახევრიან ბოთლებს დააყრიდნენ ხოლმე საკუთარ გუნდს. გამიგონია, საკუთარი გუნდის დაცვინვა, აგდება და ლანძღვა ბრაზილიაში იციანო. ოღონდაც, იქ ბოთლებს არ ისვრიან. ისე უყვართ თავიანთი გუნდი, რომ უვარგისობას ვერ პატიობენ. საფრანგეთის პრეზიდენტ კლემანსოზე ამბობდნენ: ისე უყვარდა საფრანგეთი, რომ მზად იყო, მისი გულისთვის ყოველი ფრანგი დაეხრჩოო. ოღონდაც, ბოთლის სროლა არ ვარგა. საქართველოში გულწრფელად უყვართ ბრაზილიური ფეხბურთი და, ეტყობა, შინაურის არდანდობის ბრაზილიური ტრადიციაც როგორღაც შემოსული და გამჯდარია.

ბიჭობაში, ერთხელ სტადიონზე ვიყავი. „დინამო“ ეთამაშებოდა „სპარტაკს“. მეცხრე სექტორში, ჩვენ უკან ერთი ძალიან კოლორიტული იერის ძია წამოდგა და დაიყვირა: ნერვებს მიშლი! ათი წელი ნერვებს მიშლი! ხო, ხო, ნერვებს მიშლი!

ერთ ჩვენს ნახევარმცველს უყვიროდა. თავისიანს, სხვანაირად რომ ვთქვათ.

ეს ასეც უნდა იყოს — სტადიონი დემოკრატიის ადგილია. რა ბოთლი, რის ბოთლი, კაცი აზრს გამოთქვამდა.

თქვენ გგონიათ, ინგლისში არ აკრიტიკებენ გულშემატკივრები თავიანთ ფეხბურთელებს? წლეულს, მაგალითად, „ვესტ ჰემის“ მწვრთნელმა თავდასხმაში მარლონ ჰარვუდის დაყენება რომ დაიწყო, „აპტონ პარკი ამ ამბავს ცუდად შეხვდა: ჰარვუდს გამაღიზიანებელ სიმღერებს უმღეროდნენ. ფეხბურთელშა თვენახევარს გაუძლო თავისიანების დაწოლას და მერე ჰეთ თრიქი გამოუვიდა. სეზონის ბოლოს ის უსაყვარლეს მოთამაშედ იქცა. მისმა გოლმა „ვესტ ჰემი“ თასის ფინალში გაიყვანა. ანდა პიტერ კრაუჩის ისტორია: „საუთჰემპტონიდან“ „ლივერპულში“ მისული 13 თამაშის მანძილზე უგოლოდ იყო. ისეთ ბურთებს აცილებდა, რომ მისმა თავგადასავალმა ნამდვილი ტრაგიკომედიის იერი შეიძინა. პენალტიც კი დაარტყმევინეს, რომ ნავსი გაეტეხა. ააცილა. ერთ დღესაც კი გაიტანა და მერე აღარ გაჩერებულა. მისმა თამაშმა სისე და მორიენტესი სკამზე დასვა. კოპმა აყლაყუდა შეიყვარა. მოკლედ, ყველაფერს მოპოვება უნდა, მაგრამ „კოკა კოლას“ ცარიელი ბოთლი ნამეტანია.

გუშინწინ კარლოს ტევესმა თქვა, ჰოლანდიასთან ისე ვითამაშეთ, როგორი თამაშიც არ გვიყვარს, მაგრამ რას ვიზამთ, დავალება ასეთი იყოო. ეს საინტერესო ნათქვამია. მაგალითად, ბრაზილიელები თუ თამაშობენ ისეთ ფეხბურთს, როგორიც უყვართ? ანდა ინგლისელები? ანდა იტალიელები? გერმანელები ნამდვილად ისეთს თამაშობენ. ჩემპიონატი თამაშების ოდენობის მხრივ რახანია გადასცდა ეკვატორს, ოღონდ მთავარი ჯერ არ დაწყებულა.

ეკვატორთან დაკავშირებით, ეკვადორი უნდა ვახსენოთ.

გუნდი მერვედფინალშია და ინგლისელთა დასატანჯად ემზადება. ამ საქმეში განთქმული ამაზონელი ჯადოქარი ტზამარენდა ნაჩაპიც მოუხმარია. ხსენებული შამანი წყნარსა და მშვიდ სამანქანო დედაქალაქ შტუტგარტს ჩასულა და იქაური „გოტლიბ დაიმლერის“ სტადიონიდან ავი სულები განუდევნია, რათა საკვირაო თამაშზე გარემო მხოლოდ დადებითი ენერგიით იყოს დატვირთული.

ეკვადორელები მართლაც კარგ ხასიათზე არიან, მწვრთნელმა ლუის ფერნანდო სუარესმა სექსის უფლება გაიღო, ცოტა შეიძლებაო. სწორედ ასე თქვა: „ქალს გააჩნია. ნამეტანი არ გვინდა“.

სამხრეთი, სამხრეთი... თავისი მაგიური რეალიზმით და დეიდა ხულიათი, დიახაც, არსებობს.

ხომ ნახეთ, როგორ ილანძღებოდა სინიორ ლა ვოლპე. ანდა ომარ ბრავოს თავგადასავალს თუ დააკვირდით პორტუგალიასთანთამაშში? ბრავო, ომარ, ამას რომ გაუძელი: უიღბლობას და მექსიკურ სიგიჟეს.

სხვა სიგიჟეს აწვება მყესებდაგლეჯილი მაიკლ ოუენი, რომელზეც ამბობენ, რომ ექვს თვეს ვერ ითამაშებსო. გერმანიიდან არსადაც არ წავალო, ამბობს მაიკლი. ვერ ვითამაშებ, მაგრამ ცხრა ივლისს ჩემი მედალი უნდა ავიღოო.

პორტუგალია — ჰოლანდია.

აი, თამაში.

ორი წლის წინ, ევროპის ჩემპიონატზე იყო ამათი მაგარი თამაში.

დიდი ფილი კვლავ ჯანზეა.

დიდი ფილი დიდი მწვრთნელია და როგორც ყოველი დიდი მწვრთნელი, ჩვეულებრივი კაცი არ არის. ჩვენში პორტუგალიას ნაკლებად ახსენებენ. არადა, სახსენებელია. ეს არის, რომ რიკარდუ ვერ არის ისეთი მეკარე. და მართლა, ვის ჰყავს ისეთი მეკარე, იმედი რომ ექნება? ალბათ დიდა და ბუფონი. სხვები რაღაც უცნაურად დაფრინავენ.

მთავარი კი შაბათს იწყება.

მშვიდობით, ანრი მიშელ. კაი გუნდი გყავდა...

P.S. სტივ ჯერარდს დაუძახია ვარჯიშზე დეივიდ ბექემისთვის, ნუ გაგვიხურე საქმე ამ შენი გრძელი პასებითო. ამბობენ, ეკვადორთან ბექემი სკამზე იჯდებაო. ამას სერ ჯეფრი ჰერსტი ამბობს, თუმცა ძნელი დასაჯერებელია. ამაზონელი მჩხიბავის გაჩალიჩებული იქნება უეჭველად ანგლიკანები კი მჩხიბავებზე არ ფიქრობენ.

თეო უოლკოტი

შვედმა ბავშვი ჩაიფიქრა

ამბობენ, რომ ინგლისის ნაკრების მწვრთნელი სვენ გორან ერიკსონი მსოფლიოს ჩემპიონატზე 17 წლის თეო უოლკოტის დებიუტისთვის მზად არის — საუბარი ეხება მერვედფინალურ მატჩს ეკვადორთან, რომელშიც შვედი მენტორი დაშავებულ მაიკლ ოუენს ვეღარ ათამაშებს. ერიკსონი დარწმუნებულია, რომ უოლკოტის ფაქტორი, როგორც უეინ რუნის ასევე პიტერ კრაუჩს, მეტად გაუადვილებს საქმეს.

ერთია, რომ ერიკსონია მზად, მეორე კი — არის თუ არა მზად თავად უოლკოტი, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატის პლეი ოფში კი არა, დიდი ფეხბურთი ხეირიანად არც უთამაშია. ერთადერთი გამოცდილება ჭაბუკს უნგრეთთან ამხანაგურ შეხვედრაში აქვს მიღებული და ისიც 25 წუთით. მოკლედ, კითხვაზე არის თუ არა მზად უოლკოტი, შვედმა ჟურნალისტებს მიუგო: მგონი კი.

სვენ გორან ერიკსონი: „ის კვირები, რომლებიც უოლკოტმა ჩვენთან გაატარა, მისთვის ფასდაუდებელი იყო. დღითიდღე ძლიერდებოდა და საკუთარი თავის რწმენას იძენდა. თამაშის დროს ის უკვე თამამად და უფრო მეტს ლაპარაკობს, ბურთს ითხოვს და ვარჯიშებზე ფანტასტიკური გოლები გააქვს. ორშაბათს საბოლოო დარტყმებში გვქონდა ვარჯიში და უოლკოტმა გამოაცა“.

მოგეხსენებათ, ოუენის ტრავმამ ინგლისელები ახალგამოჯანმრთელებული უეინ რუნისა და პიტერ კრაუჩის ამარა დატოვა, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ რუნი ყინჩადაა და მოედანზე თავიდან ბოლომდე ყოფნას ჩხუბით ითხოვს.

„ჩემი ფიზიკური ფორმა პრობლემა არასდროს ყოფილა — ბრაზობს „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფორვარდი — ვგრძნობ, რომ მოედანზე ბოლომდე შემიძლია დავრჩე“.

პაპუნა კედია

ფრანგული გურსუფი მილანმა შეხვრიპა

იტალიურმა „მილანმა“ ნიჭიერი ნახევარმცველი იოან გურსუფი იყიდა. 19 წლის ფეხბურთელმა, რომელსაც 11 ივლისს 20 წელი შეუსრულდება, „როსონერისთან“ 2011 წლის 30 ივნისამდე გააფორმა კონტრაქტი.

ტრანსფერის ფინანსური მხარე არ ხმაურდება, მაგრამ ამბობენ, რომ „მილანმა“ ფრანგულ „რენს“ დაახლოებით 3 მილიონი ევრო გადაუხადა. „როსონერი“ გურსუფს დიდი ხანი უტრიალებდა და მოცილეებიც მრავლად ჰყავდა, „ლიონის“ თამადობით.

„იტალიელებისგან ოფიციალური და საინტერესო წინადადება მივიღეთ, რასაც დავყაბულდით კიდეც. ახლა ვეცდებით, გურსუფი მომავალ სეზონში იჯარის წესით ჩვენთან დავტოვოთ“ — თქვა „რენის“ პრეზიდენტმა ემანუელ კუეფმა.

აპენინური პრესა კი იუწყება, რომ „მილანი“ მართლაც აპირებს ნიჭიერი ნახევარმცველის განათხოვრებას, რათა მას მუდმივი სათამაშო პრაქტიკა ჰქონდეს და ზრდა არ შეწყვიტოს. თუმცა, კუეფის დიდი სურვილის მიუხედავად, ნაკლებად სავარაუდოა, „როსონერიმ“ იგი „რენში“ დატოვოს. სავარაუდოდ, გურსუფს სერია A-ს რომელიმე შედარებით პატარა კლუბში უკრავენ თავს.

კოკი კანდელაკი

მე მსუქანი ვარ, შენ ლოთი

რონალდოს ხუთასგრამიანი ქონი



ბრაზილიის პრეზიდენტი ლუიზ ინასიო ლულა და სილვა

დიდ ბრაზილიურ საიდუმლოს ნაკრების ფიზიკური მომზადების მწვრთნელმა მორასი სანტანამ ფარდა ახადა: რონალდო 90,5 კილოგრამია, რაც იმას ნიშნავს, რომ 183 სანტიმეტრი სიმაღლის ვარსკვლავი ნორმით მოთხოვნილ წონაზე მხოლოდ 500 გრამითაა მეტი.

„თავიდან ის 95 კილო იყო, მაგრამ ახლა თითქმის იდეალური წონის არის“ — უთხრა სანტანამ ტელეკომპანია „გლობოს“.

რონალდოს წონა ბრაზილიაში იმდენად მნიშვნელოვანი გახდა, რომ თვით ქვეყნის პრეზიდენტმა ლუიზ ინასიო ლულა და სილვამ ილაპარაკა მუნდიალის წინ ამაზე. სხვათა შორის, ამან რონალდო გააბრაზა.

„ის ჩემზე ამბობს, რომ მსუქანი ვარ? სამაგიეროდ, ყველამ იცის, რომ თვითონ ლოთია“ — თქვა „ბაჭიამ“ თუ „ფენომენმა“, რომელიც უკვე 29 წლისაა და მუნდიალებზე გატანილი 12 გოლით გუშინდლამდე პელეს უტოლდებოდა.

ამის შემდეგ პრეზიდენტმა ლულამ ბრაზილიის ნაკრების ბანაკში ფაქსი აფრინა, სადაც ეწერა, რომ ის, რაც მან რონალდოზე თქვა კრიტიკა კი არა, შეწუხებული ფანის ამოძახილი იყო.

დაბოლოს, ბრაზილიელთა მწვრთნელის, კარლოს ალბერტო პარეირას სიტყვებს მოვიტანთ: „რონალდოს ორგანიზმი შეიცვალა, ის პატარა ბიჭი აღარ არის, 94-ში რომ იყო“.

პაპუნა კედია

ხოსე პეკერმანი: ეს ორი თუ ის ორი?

ხოსე პეკერმანის თქმით, ჯერ გადაწყვეტილი არ აქვს, თუ ვის ათამაშებს თავდასხმაში მექსიკელებთან მერვედფინალურ მატჩში. მისი არჩევანი აქამდე, ერნან კრესპო-ხავიერ სავიოლას წყვილი იყო. თუმცა პეკერმანს ლიონელ მესი და კარლოს ტევესიც ჰყავს, ხულიო რიკარდო კრუზზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

კრესპო და სავიოლა პეკერმანმა ჰოლანდიასთან ჯგუფის ბოლო მატჩში არ ათამაშა. ორივეს ყვითელი ბარათი აქვს და მეორე არ მიიღონო, შეეშინდა. მათ ნაცვლად სწორედ მესი-ტევესის წყვილი მოხვდა ძირითადში. მესისგან მთელი არგენტინა და მსოფლიო ბევრს ელის. სერბეთთან, შეცვლაზე შესული „ბარსელონას“ ვუნდერკინდი ბრწყინვალედ გაისარჯა, მაგრამ „ნარინჯისფერებთან“ ფაქტობრივად არაფერი გამოსდიოდა. აი, ტევესმა კი ისევ ნორმალურად ითამაშა და დაამტკიცა, რომ ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის ამბიცია ტყუილად არ აქვს.

ხოსე პეკერმანი: „ვინ ითამაშებს თავდასხმაში, ჯერ არ მომიფიქრებია. დრო კიდევ მაქვს. მექსიკა ძალიან სპეციფიური გუნდია და ფრთხილად უნდა ვიყოთ. რაც შეეხება მესის და ჰოლანდიასთან მის თამაშს, ვფიქრობ, ამაზე ყურადღების დიდად გამახვილება არ ღირს. ფეხბურთი შეიძლება, ადვილი იყოს და იმავდროულად — ძნელი. ყოველთვის ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც გვინდა“.

არგენტინელთა ერთ-ერთი წამყვანი მცველის, ნიკოლა ბურდისოსთვის, ჰოლანდიასთან მიღებული ტრავმა შესაძლოა სერიოზული გამოდგეს. იგი დაწვრილებით გამოკვლევებს ჩაიტარებს და ექიმები ბოლო სიტყვას ამის მერე იტყვიან.

„ძალიან ვნერვიულობთ, რადგან ბურდისომ რომ მექსიკასთან ვერ ითამაშოს, პრობლემები შეგვექმნება. იმედია, სერიოზული არაფერია, ექიმების დასკვნას ველოდებით“ — განაცხადა პეკერმანმა.

კოკი კანდელაკი

პეკერმანი მექსიკაზე ფიქრობს

ბარსელონა მერვედფინალში გაიფანტა

„ბარსელონა“ მსოფლიოს ჩემპიონატზეც წარმატებით თამაშობს. თუ გეეჭვებათ, მუნდიალზე მონაწილე გუნდების შემადგენლობებს გადავხედოთ — კატალონიური გრანდის ყველა ფეხბურთელი მერვედფინალში გავიდა. არადა, „ბარსას“ ლეგიონით 7 ნაკრებია დაკომპლექტებული, „კამპ ნოუს“ ბიჭები ესპანეთის, შვედეთის, არგენტინის, ჰოლანდიის, მექსიკის, პორტუგალიისა და ბრაზილიის ეროვნულ გუნდებში თამაშობენ.

ამიტომაც, თეორიულად ყოველი ბარსელონელი ამ სეზონში ჩემპიონთა თასის და მსოფლიოს ჩემპიონატის მოგების შანსს ინარჩუნებს. მოგახსენებთ, რომ ასეთი რამ მსოფლიოში აქამდე ოდენ 9 ფეხბურთელს გაუკეთებია. ეს შეძლეს გერმანელებმა. ბეკენბაუერმა, ბრაიტნერმა, ჰიონესმა, კაპელმანმა, მაიერმა, მიულერმა და შვარცენბეკმა; ასევე ფრანგმა კარამბუმ და ბრაზილიელმა რობერტო კარლოსმა. წლეულს კი ხსენებულ სიას შეიძლება რონალდინიო, ლარსონი, მესი, ვან ბრონკჰორსტი, ვან ბომელი, რაფაელ მარკესი, დეკო, პუიოლი, ხავი და ანდრეს ინიესტა შეუერთდნენ. ზოგიერთი მუნდიალის ფავორიტ ნაკრებშია, ზოგიც არა, მაგრამ სადღეისოდ შანსს ყველანი ინარჩუნებენ.

რაც მუნდიალზე აქამდე ვნახეთ, თითქმის ყველა ბარსელონელი თავის გუნდში წამყვან როლს ასრულებს. გამონაკლისი მარტო ანდრეს ინიესტაა. იგი არაგონესმა მარტო საუდის არაბეთთან გამოიყვანა მოედანზე ძირითად შემადგენლობაში.

რონალდინიოს ამბავი ცალკე თემაა. კიჭამ ნაკრებში ჯერ ისე ვერ გაიბრწყინა, როგორც კლუბში აკეთებს ხოლმე, მაგრამ პენტაკამპეონები მუნდიალზე შორს თუ წავიდნენ, ალბათ, ქომაგთა სასიხარულოდ, „კამპ ნოუს“ ლიდერიც გამოფხიზლდება.

სადღეისოდ „კატალონიელთაგან“ მუნდიალზე გოლები პორტუგალიელმა დეკომ, შვედმა ლარსონმა (მომავალ სეზონში „ჰელსინგბორგში“ გადადის, მაგრამ ყველა ბარსელონური გაზეთი მაინც ჯიუტად წერს — **UN CATALAN LARSSON**-ო) და არგენტინელმა ლეო მესიმ გაიტანეს. დეკომ ირანს შეუგდო, ლარსონმა ინგლისს ანგარიში გაუთანაბრა და მესიმ სერბეთი ააოხრა.

კარლეს პუიოლი და ხავი ერნანდესი კი ესპანეთის ნაკრების ლიდერები არიან. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ამ ორმა კარგად თუ ითამაშა, „ფურია როხაც“ წარმატებას აღწევს. პუიოლი დაცვას პატრონობს (ისევე როგორც „ბარსაში“) და ხავიც გუნდის დირიჟორია, ჩვეულებრისამებრ...

ჯოვანი ვან ბრონკჰორსტისა და მარკ ვან ბომელის გარეშე ჰოლანდიის ნაკრები წარმოუდგენელია. ასეთივეა რაფაელ მარკესი მექსიკისთვის, თუმცა ოკეანისგაღმელებმა ჯგუფის ბოლო თამაში პორტუგალიასთან წააგეს.

1994 წლის მუნდიალის შემდეგ პირველად ხდება, „ბარსელონამ“ მერვედფინალს „სრული შემადგენლობით“ რომ უწია. ამერიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე ტურნირზე მონაწილე თორმეტივე ბარსელონელმა გააღწია ჯგუფებიდან. აშშ-ი კი იყენენ სუბსარეტა, გვარდიოლა, ბაკერო, ფერერი, სერხი, ხულიო სალინასი, ჩიკი ბეგირისტაინი, ნადალი და გოიკოეჩეა ესპანეთის ნაკრებიდან. კუმანი ჰოლანდიიდან, ხრისტო სტოიჩკოვი ბულგარეთიდან და ბრაზილიელი რომარიო.

სხვა რა შეიძლება კატალონიურ გრანდზე ითქვას? ის, რომ ოთხშაბათს „ბარსამ“ 2006-07-ის სეზონისთვის ახალი ფორმა წარადგინა. მისურა ზოლიანი აღარ არის, „ნაიკის“ ტენდენციისამებრ, ორ ფერშია. ფორმა ფორმად და მთავარი ის არის, ვინც ამ მაისურას მოირგებს...

ლადო ხოფერიძე

შვილმა მამას 400 დოლარი გაუტანა

ანდრეი რუსოლი

ანდრეი რუსოლი ის კაცია, რომელმაც დამოუკიდებელი უკრაინის ისტორიაში მუნდიალზე პირველი გოლი გაიტანა. ამ ფაქტს კიდევ ერთხელ ხაზი იმიტომ გავუსვით, რომ, როგორც გაირკვა, რუსოლის მამამ, ანატოლიმ, შვილის გოლით ორმაგად გაიხარა. თუ რა იყო ამის მიზეზი, ახლავე მოგახსენებთ.

ანატოლი რუსოლი: „ანდრეიმ საუდელებთან მატჩის დასრულებისთანავე დამირეკა და მთელი ღამე აღარ მძინებია. იმ მატჩს სახლში ბევრ ახლობელთან ერთად ვუყურებდით და მეოთხე წუთზე, როცა ანდრეიმ შეაგდო, იმხელაზე ვიღრიალე, კინაღამ ჭერი ჩამოინგრა. ჩემმა ცოლმა კი ტირილი დაიწყო. მოპირდაპირე სახლიდან 80 წლის მეზობელი, ანტონინა გავრილოვა გამოვიდა და ხმამაღლა იყვირა — ანდრეიმ გოლი გაიტანა!

ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ იმ დღეს საბუკმეკერო კანტორაში ვიყავი, არადა, ფსონების გაკეთებას დაჩვეული არ ვარ. ერთი ყველაზე დიდი კოეფიციენტი 60, უკრაინელთაგან ჩემპიონატზე პირველი გოლის ავტორზე სწორედ ანდრეის ჰქონდა და მეც 30 გრივნა დავდე. ხოლო 50 გრივნა დავდე, რომ იგი საუდელებთან გოლს გაიტანდა, ამაზე კოეფიციენტი 9 იყო. ანდრიუშამ 2 250 გრივნა მომაგებინა“.

2 250 გრივნა დაახლოებით 400 დოლარს უდრის. დიდი ფულიაო, ვერავინ იტყვის, მაგრამ როცა მას მსოფლიოს ჩემპიონატზე შვილის გატანილი ისტორიული გოლის წყალობით იგებ, ალბათ, დიდ ფულზე ბევრად მეტს ნიშნავს.

კოკი ძანდელაძი

fanaoba@hotmail.com

მკითხველთა წერილების რუბრიკა ორი წლის წინ დაარსდა ევროპის ჩემპიონატის დროს. მას მერე უამრავ თემაზე მომწერეს ჩვენმა მკითხველებმა თავიანთი მოსაზრებები და ბევრ მათგანთან პირადად გაცნობაც და დამეგობრებაც მოვასწარი.

იმედი გვაქვს, ამ მუნდიალზეც იმდენ წერილს გამოგვიგზავნით, წინა ევროპისა არ იყოს, მათი დამცრობა დაგვჭირდეს, გაზეთში ყველას ჩატევა რომ მოვახერხოთ.

მსოფლიოს ჩემპიონატთან დაკავშირებულ ნებისმიერ თემაზე შეგიძლიათ მოიწეროთ, ოღონდ გუნდებს, რომლებსაც არ გულშემატკივრობთ, არაკორექტულად ნუ დასცინებთ

SUPERMARIO: მოგესალმებით! წავიკითხე ჩემს მიერ გამოგზავნილი მასალა თქვენს გაზეთში, მინდა მადლობა მოგიხადოთ, რომ რიგით გულშემატკივარს აძლევთ თავის აზრის დაფიქსირების საშუალებას, რაც შეეხება ჩემს „ნიკს“ — სუპერმარიოს, არანაირი კავშირი არა აქვს მარიო კემპესთან. კემპესზე მხოლოდ კარგი გამიგია იგივე თქვენი გაზეთის მეშვეობით. პირადად მისი თამაში ნანახი არ მაქვს იმ უბრალო მიზეზით, რომ 1986 წელს დავიბადე... სიმბოლურია, არა, არგენტინას ვგულშემატკივრობ, რომელიც ბოლოს ჩემპიონი 1986 წელს გახდა. არგენტინელთა ბანაკში გაბრიელ ბატისტუტას პერსონის გამო ვარ, თანამედროვე ფეხბურთში ალბათ მისი სტილის ფეხბურთელი არ მოიძებნება. ის განსაკუთრებული იყო და გული მწყდება, რომ მხოლოდ ერთი ტიტულით (სკუდეტო) დაასრულა კარიერა. არადა, ბევრის მიღწევა შეეძლო. თუმც ტიტული ფეხბურთელის ვარსკვლავის კალიბრს არ განსაზღვრავს. კრისტიან კარამბუს მაგალითზე, ფეხბურთელი, რომელსაც აბსოლუტურად ყველა ტურნირი (ჩემპიონთა თასიდან დაწყებული მსოფლიო ჩემპიონობით დამთავრებული) მოგებული აქვს. იმავე ბატისტუტასთან ახლოსაც ვერ მივა. დავუბრუნდეთ მსოფლიო ჩემპიონატს, რომელიც ძალზედ საინტერესოდ მიმდინარეობს. სასიამოვნო მოულოდნელობაა გუნდების მომზადების დონეც, როგორც ფიზიკური, ასევე ტაქტიკური. მათი თავგანწირვა, ბოლომდე დახარჯვა, თამაშში ყველაფრის ჩადება. ამის შემხედვარეს ბუნდოვნად მეჩვენება საქართველოს ნაკრების მომავალი. ბევრჯერ წარმოვიდგინე ჩვენი ნაკრები, მსოფლიო ჩემპიონატზე სხვადასხვა გუნდს შევადარე, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ბევრი გვიკლია. ბევრი გვიკლია ტრინიდადელთა მებრძოლ სულამდე, ხორვატთა თავგანწირვამდე, არგენტინულ სილამაზემდე, შვეიცარიულ პრაგმატიზმამდე. ანუ ჩვენი ადგალი მან, არაა და სამწუხაროდ, სხვა ეროვნების ფეხბურთელთა გულშემატკივრობა გვიწევს. არგენტინულ-ბრაზილიურ ფინალს ვისურვებდი. ლამაზი სანახაობა იქნება, ბრძოლა და ნამდვილი ფეხბურთი.

GIOPATSO: გაუმარჯოს „სარბიელს“! მე ჰოლანდიის ქომაგი ვარ და მეშინია ვან ბასტენის. ჯერ კი კარგად მიდის ყველაფერი, მაგრამ არ მგონია იმხელა გამოცდილება ჰქონდეს, რომ ასე კარგად ინახავდეს გუნდს უფრო სერიოზული თამაშებისთვის. შეიძლება ვცდები კიდეც (ნეტა ასე იყოს), მით უმეტეს არც დირკ კუიტი და არც ვან დერ ვაარტი დაუტვირთია ზედმეტად. აი, „მეცნიერი“ კი აშკარად ინახავს გუნდს. არ მგონია მერვედფინალში დავიდ ვილიას ენდოს. კაპიტანი, თან ყველა დროის ბომბარდირი და ესპანური ფეხბურთის სიმბოლო რაული ძირითაში იქნება „ელ ნინიოსთან“ იერთად. რა თქმა უნდა, ადრიანო-რონალდოს წყვილი აშკარად არ ამართლებს. ერთერთის მაგივრად რობინიოა საჭირო, კაკა და რონალდინიოც უფრო თავისუფლად იქნებიან. მე მგონი, რონალდოს დასმა არ შეიძლება, მაგის ძალა ავსტრალიასთან გამოჩნდა, რაც უნდა გასუქებული იყოს, ეგ რომ მოედანზეა, ორისამი მცველი სულ მაგას უყურებს. ემერსონი გადაღლილია, ზე რობერტო რომ არა, კაცმა არ იცის, როგორ დამთავრდებოდა ავსტრალიასთან მატჩი. გერმანიას ჯერ კარგ გუნდთან არ უთამაშია, არც ინგლისს, ამიტომ ძნელია მათ ძალაზე ლაპარაკი. არგენტინა ძან მაგარია, აშკარად იცოდა პეკერმანმა რას აკეთებდა, ვერონი და ძანეტი რომ არ წაიყვანა, ამათ სუყველას მოხარშულს იცნობს. ნახეთ როგორ აათამაშა სავიოლა?

PORTENO: გაუმარჯოს „სარბიელს“! რამოდენიმე მოულოდნელობა მოხდა მსოფლიოს ჩემპიონატზე: მსოფლიო გრანდთან — ტრინიდადთან და ტობაგოსთან არ მოველოდი ინგლისის ნაკრების ასეთ დამაჯერებელ თამაშს. და მით უმეტეს, გამარჯვებას. ყოჩაღ ინგლისელებს. აი, ვისი უნდა გეშინოდეთ.

არც იტალიაა ხელწამოსაკრავი გუნდი, ბრწყინვალე სტილში მოპოვებული ქულა ცხრაკაციან ამერიკასთან ნამდვილი ზეიმი იყო მათთვის. შეუდარებელი იყო კრისტიან ვიერი. აა... ვიერი არ თამაშობს? მაშინ დე როსი!

fanaoba@hotmail.com

ობიექტი



AFP ავრიდან

AFP მიუნხენიდან

ბურთი დაგორავს ყველგან, გერმანიაშიც და მსოფლიოს ყველაზე ამოუცნობ და თვალშეუყრელ ადგილებში. სპილოებიც კი ბურთს დააგორებენ. ტაილანდში ბანგკოკის სიახლოვეს ხდება ეს ამბავი. დიდი სიხარულის მოლოდინში გარინდული განელები — ამ ე.წ. ოთახში ძალიან ცხელა და, ჯერ ირან — ანგოლას უყურებენ გარედან. მარჯვენა მაღალ კუთხეში მთელი მსოფლიოს სიმპათიას, სპილოსძვლელ ბაკარი კონეს ნაწნავებს უსინჯავს მისგან და მის ძმათაგან ძლეული სერბეთის ნახევარმცველი იგორ დულიაი. მიშელ პლატინისთან მიკროფონით და კითხვებით მისულ „ბლონდს“ ვერ ცნობთ? ლეგენდარული ბორის ბეკერი გახლავთ, მაგან ხომ ჩოგნის დაშალითების მერე თავი სალაღობო ჟურნალისტიკაში დაასაქმა. სულ ქვემოთ კი სწორედ რომ სამეფო სერობაა — კაიზერ ფრანცი პატივისცემას უდასტურებს ჰოლანდიის პრინცესა მაქსიმას და კრონპრინც ვილემ ალექსანდერს, რის ამათი ნარინჯისფერი ქვეშევრდომები ფრანკფურტში არგენტინას ებურთავნენ.



AFP

AFP ფრანკფურტიდან

AFP ფრანკფურტიდან

სარბიელი ᲓᲐ ᲙᲠᲝᲙᲘ

წარმოგიდგენთ

გაიხსნა ᲙᲠᲝᲙᲘᲡ ახალი ბიუროები: თბილისი – მოსკოვის გამზირი №6; ზესტაფონი – ადმაშენებლის №39; გარდაბანი – ადმაშენებლის №12

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში						
		23 ივნისი						
18:00	195	უკრაინა-ტუნისი	1.60	3.50	5.50	1.09	1.23	2.13
18:00	197	ს.არაბეთი-ესპანეთი	14.00	5.80	1.17	4.10	1.07	1.00
23:00	198	შვეიცარია-ს კორეა	2.05	2.90	3.80	1.20	1.33	1.64
23:00	199	ტოგო-საფრანგეთი	14.00	6.00	1.17	4.19	1.07	1.00
		24 ივნისი						
23:00	400	არგენტინა-მექსიკა	1.40	3.70	9.00	1.01	1.21	2.62
19:00	535	გერმანია-შვედეთი	1.75	3.20	4.80	1.13	1.28	1.91
		25 ივნისი						
23:00	401	ჰოლანდია-პორტუგალია	2.35	3.00	3.00	1.31	1.31	1.50
19:00	537	ინგლისი-ეკვადორი	1.45	3.60	8.00	1.03	1.22	2.48
19:00	538	ინგლისი-ეკვადორი 0:1	2.15	3.40	2.55			
		შვედეთი. სუპერეტა						
		25 ივნისი						
16:00	283	ასირია-ატვიდაბერგი	1.70	3.40	4.00	1.13	1.19	1.83
16:00	284	იონკოპინგი-ფალკენბერგი	1.90	3.20	3.50	1.19	1.23	1.67
16:00	285	ქვიდინგი-იორებრო	5.10	3.60	1.50	2.11	1.15	1.05
16:00	286	ვესბი-სუნდსვალი	2.20	3.10	2.85	1.28	1.24	1.48
22:00	287	მიალბი-უმეა	1.85	3.20	3.60	1.17	1.22	1.69
		26 ივნისი						
22:00	288	ლანდსკრონა-დეგერფორსი	1.80	3.30	3.70	1.16	1.21	1.74
22:00	289	ნორჩიოპინგი-ბრომაპოიკარნა	1.90	3.20	3.50	1.19	1.23	1.67
22:00	290	ტრელებორგი-ლიუნგსკილე	1.70	3.40	3.95	1.13	1.18	1.82
		ირლანდია						
		23 ივნისი						
22:45	293	ბოპემიანი-სლიგო	1.80	3.30	3.60	1.16	1.20	1.72
22:45	294	ბრეი-უოტერფორდი	2.00	3.10	3.30	1.21	1.24	1.59
22:45	295	კორკი-დროგედა	1.90	3.10	3.80	1.17	1.26	1.70
22:45	296	დერი-დუბლინი ს	1.50	3.50	5.20	1.04	1.16	2.09
22:45	297	სტ.პატრიკსი-დუბლინი	1.85	3.20	3.65	1.17	1.22	1.70
		აშშ						
		24 ივნისი						
23:45	304	კოლამბუსი-ჩივასი	1.90	3.10	3.40	1.17	1.21	1.62
23:45	305	ვაშინგტონი-კანსასი	1.90	3.10	3.50	1.17	1.23	1.64
23:45	306	დალასი-კოლორადო	1.85	3.20	3.75	1.17	1.23	1.72
23:45	307	სოლტ ლეიკი-ნიუ ინგლენდი	2.50	3.00	2.50	1.36	1.25	1.36
23:45	308	ლოს ანჯელესი-პიუსტონი	2.80	3.00	2.25	1.44	1.24	1.28
		25 ივნისი						
23:45	309	ჩიკაგო-ნიუ იორკი	2.15	3.00	3.00	1.25	1.25	1.50

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15195	უკრაინა-ტუნისი	3.00	2.80	2.00
15197	ს.არაბეთი-ესპანეთი	3.00	2.80	2.00
15198	შვეიცარია-ს კორეა	3.00	2.80	2.00
15199	ტოგო-საფრანგეთი	3.00	2.80	2.00
15400	არგენტინა-მექსიკა	3.00	2.80	2.00
15401	ჰოლანდია-პორტუგალია	3.00	2.80	2.00
15535	გერმანია-შვედეთი	3.00	2.80	2.00
15537	ინგლისი-ეკვადორი	3.00	2.80	2.00

ფრეს ბარეშე (ძირ დრო)

16195	უკრაინა-ტუნისი	1.25	3.00
16198	შვეიცარია-ს კორეა	1.45	2.35
16400	არგენტინა-მექსიკა	1.12	4.00
16401	ჰოლანდია-პორტუგალია	1.60	1.95
16535	გერმანია-შვედეთი	1.30	2.85
16537	ინგლისი-ეკვადორი	1.13	4.00

გოლი:ფსვილი-10შუ კენტი-2. (0:0 ითვლება ფსვილად)

17195	უკრაინა-ტუნისი	1.85	1.95
17197	ს.არაბეთი-ესპანეთი	1.85	1.95
17198	შვეიცარია-ს კორეა	1.85	1.95
17199	ტოგო-საფრანგეთი	1.85	1.95
17400	არგენტინა-მექსიკა	1.85	1.95
17401	ჰოლანდია-პორტუგალია	1.85	1.95
17535	გერმანია-შვედეთი	1.85	1.95
17537	ინგლისი-ეკვადორი	1.85	1.95

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12195	უკრაინა-ტუნისი	1.70	1.90
12197	ს.არაბეთი-ესპანეთი	2.10	1.50
12198	შვეიცარია-ს კორეა	1.70	1.90
12199	ტოგო-საფრანგეთი	2.10	1.50
12400	არგენტინა-მექსიკა	1.70	1.90
12401	ჰოლანდია-პორტუგალია	1.70	1.90
12535	გერმანია-შვედეთი	1.70	1.90
12537	ინგლისი-ეკვადორი	1.70	1.90

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

13195	უკრაინა-ტუნისი	1.65	1.80
13197	ს.არაბეთი-ესპანეთი	2.10	1.50
13198	შვეიცარია-ს კორეა	1.70	1.90
13199	ტოგო-საფრანგეთი	2.10	1.50
13400	არგენტინა-მექსიკა	1.85	1.60
13401	ჰოლანდია-პორტუგალია	1.80	1.80
13535	გერმანია-შვედეთი	1.70	1.90
13537	ინგლისი-ეკვადორი	1.90	1.60

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შესრული ზაფუულად ჩაითვლება)

14195	უკრაინა-ტუნისი	1.25	2.50
14198	შვეიცარია-ს კორეა	1.60	2.20
14400	არგენტინა-მექსიკა	1.18	2.50
14401	ჰოლანდია-პორტუგალია	1.80	2.00
14535	გერმანია-შვედეთი	1.40	2.30
14537	ინგლისი-ეკვადორი	1.20	2.40

ვინ დაიწყებს თამაშს

19195	უკრაინა-ტუნისი	1.85	1.80
19197	ს.არაბეთი-ესპანეთი	1.85	1.85
19198	შვეიცარია-ს კორეა	1.85	1.85
19199	ტოგო-საფრანგეთი	1.85	1.85

ვინ მოაწვდის პირველ აუტს

24195	უკრაინა-ტუნისი	1.80	1.80
24197	ს.არაბეთი-ესპანეთი	1.80	1.80
24198	შვეიცარია-ს კორეა	1.80	1.80
24199	ტოგო-საფრანგეთი	1.80	1.80

კუთხურების რაოდენობა (ძირ. დრო) 10,5

22195	უკრაინა-ტუნისი	1.80	1.80
22197	ს.არაბეთი-ესპანეთი	1.70	1.80
22198	შვეიცარია-ს კორეა	1.80	1.80
22199	ტოგო-საფრანგეთი	1.90	1.70

იქნება თუ არა მატჩში პენალტი (ძირ. დრო)

23195	უკრაინა-ტუნისი	3.00	1.30
23197	ს.არაბეთი-ესპანეთი	3.00	1.30
23198	შვეიცარია-ს კორეა	3.00	1.30
23199	ტოგო-საფრანგეთი	3.00	1.30

ვინ მოაწვდის პირველ კუთხურს (ძირ. დრო)

20195	უკრაინა-ტუნისი	1.60	2.00
20197	ს.არაბეთი-ესპანეთი	2.40	1.40
20198	შვეიცარია-ს კორეა	1.70	1.90
20199	ტოგო-საფრანგეთი	2.40	1.40

ვინ მიიღებს პირველ გაფრთხილებას (ყვ) (ძირ. დრო)

21195	უკრაინა-ტუნისი	2.00	10.00	1.65
21197	ს.არაბეთი-ესპანეთი	1.50	10.00	2.20
21198	შვეიცარია-ს კორეა	1.90	10.00	1.70
21199	ტოგო-საფრანგეთი	1.50	10.00	2.20

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10195	უკრაინა-ტუნისი	2.00	2.00	5.50	1.00	1.46	1.46
10197	ს.არაბეთი-ესპანეთი	10.00	3.10	1.30	2.36	1.15	1.00
10198	შვეიცარია-ს კორეა	2.50	2.00	4.35	1.11	1.58	1.37
10199	ტოგო-საფრანგეთი	10.00	3.10	1.30	2.36	1.15	1.00
10400	არგენტინა-მექსიკა	1.75	2.30	6.20	1.00	1.36	1.67
10401	ჰოლანდია-პორტუგალია	2.70	2.00	3.45	1.14	1.51	1.26
10535	გერმანია-შვედეთი	2.10	2.00	4.50	1.02	1.43	1.38
10537	ინგლისი-ეკვადორი	1.85	2.30	6.30	1.02	1.43	1.68

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11195	უკრაინა-ტუნისი	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	6.50
11197	ს.არაბეთი-ესპანეთი	15.00	15.00	20.00	12.00	5.00	3.50	30.00	12.00	1.40
11198	შვეიცარია-ს კორეა	3.10	10.00	20.00	4.20	4.40	5.50	20.00	10.00	5.00
11199	ტოგო-საფრანგეთი	15.00	15.00	20.00	12.00	5.00	3.50	30.00	12.00	1.40
11400	არგენტინა-მექსიკა	1.80	12.00	25.00	3.40	4.80	11.00	20.00	11.00	11.00
11401	ჰოლანდია-პორტუგალია	3.40	10.00	20.00	4.40	4.40	5.00	20.00	10.00	4.50
11535	გერმანია-შვედეთი	2.50	10.00	20.00	3.60	4.40	7.50	20.00	10.00	6.00
11537	ინგლისი-ეკვადორი	1.90	10.00	20.00	3.50	4.60	8.50	20.00	10.00	12.00

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ოკეანის გაღმიდან ფაქსი მოვიდა

ურუგვაი 15 ნოემბერზე თანახმაა

20 ივნისს პრესკონფერენციაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა გოგი ქავთარაძემ მოგვახსენა, მოლაპარაკებას ვაწარმოებთ მსოფლიოს ჩემპიონი სამხრეთამერიკული ქვეყნის ასოციაციასთან ამხანაგური მატჩის გასამართადო და გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ფაქსიც მოვიდა...

— ურუგვაის ფეხბურთის ასოციაციამ გვაცნობა, რომ თანახმაა, 15 ნოემბერს ეს მატჩი გაიმართოს. მაგრამ ეს ჯერ მხოლოდ თანხმობაა, გადაწყვეტილების მისაღებად დეტალებზე უნდა შევთანხმდეთ. ურუგვაელებს ასეთ რამეს ვთავაზობთ — ევროპიდან თბილისში აქეთ და იქით მგზავრობის, თბილისში დაბინავების, ვარჯიშის და სამჯერადი კვების ხარჯებს ჩვენ გავისტუმრებთ. მოკლედ, დეტალები ჯერაც შესათანხმებელია და ახლა ურუგვაელების კიდევ ერთ პასუხს ველოდებით ამ შეთავაზებაზე — გვითხრა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა რევაზ არველაძემ.

დავით თავართქილაძე

კრივბასის ფინანსები 1 ივლისს გამოჩნდება

25 წლის ლადო ბურდული ივნისის დასაწყისში გადავიდა თბილისის „დინამოდან“ უკრაინის უმაღლესლიგელ კრივოი როგის „კრივბასში“. როგორ მოეწყო ის ახალ გუნდში და რა ხდება „კრივბასში“ — ლადოს მეტწილად ამაზე ვესაუბრეთ...

ბურდული გიგიაძის უკან

— „კრივბასთან“ ერთწლიანი კონტრაქტი გავაფორმე და მერე იალტაში წავედით შეკრებაზე, სადაც ბურთს საერთოდ არ გავკარებივართ, მხოლოდ ფიზიკურ მომზადებაზე იყო გადატანილი აქცენტი. გუნდის მწვრთნელი ალექსანდრ კოსევიჩი კმაყოფილი დარჩა, არ ეგონა, თუ ასეთ დატვირთვებს გავუძლებდით. იალტიდან წამოსვლისთანავე საკონტროლო მატჩი ვითამაშეთ „დნიპროსთან“ და 0:1 დავმარცხდით, მე მეორე ტაიმში გამომცვალეს. „დნიპროსთან“ მატჩის შემდეგ რამდენიმე დღით შვებულებაში გაგვიშვეს და ოდესაში ჩავედი, რათა იქაურ „ჩერნომორეცში“ მოთამაშე ჩვენი ბიჭები მომენახულებინა.

— ითქვა, „კრივბასს“ ფინანსური პრობლემები შეექმნაო...

— რაღაც პრობლემები „კრივბასს“ მართლაც აქვს, მაგრამ ამბობენ, ყველაფერი მოგვარდებაო. კლუბის ბიუჯეტი 1 ივლისს უნდა დაამტკიცონ და ვნახოთ, რა მოხდება.

— თუ „კრივბასმა“ ფინანსური პრობლემები ვერ მოაგვარა, სხვა გუნდში გადასვლაში ალბათ ხელს არ შეგიშლის...

— თუ ფინანსური პრობლემა არ მოგვარდება, ჩემი კონტრაქტი „კრივბასთან“ ავტომატურად გაუქმდება, მაქვს ორი-სამი ვარიანტი სხვა უკრაინული კლუბებიდან.

— „კრივბასში“ რა პოზიციაზე უნდა ითამაშო?

— „დნიპროსთან“ 4-5-1 სქემით ვითამაშეთ, თავდასხმაში ვასო მიგიაძე იყო, მე კი მის უკან, გამთამაშებლად გამამწესეს, თუმც მერე ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზეც ვითამაშე. მომდევნო საკონტროლო მატჩი ლაშა ჯაკობიას „მეტალისტთან“ გვაქვს 26 ივნისს, უკრაინის ჩემპიონატის პირველ ტურში კი 23 ივლისს „შახტარს“ შევხვდებით.

— „კრივბასში“ როგორი ატმოსფერო დაგვხდა?

— ძალიან კარგი გუნდია, მწვრთნელიც ძალიან კარგი ადამიანი ჩანს, გიგიაძე კი ნამდვილი ლიდერია.

— წინა სეზონში „კრივბასი“ უმაღლესი ლიგიდან არგავარდნისთვის იბრძოდა — რა იქნება მიზანი ახალ სეზონში?

— მთავარია, კლუბის ბიუჯეტი დამტკიცდეს, თორემ „კრივბასი“ ახლა ისეთი გუნდია, ზედა ათეულში უნდა იყოს.

დავით თავართქილაძე

ტორნინმა დინამო ბაზაზე გაიცნო

თბილისის „დინამოს“ 23 წლის ბრაზილიელი ლეგიონერი როდრიგო ტორნინი მსოფლიოს ჩემპიონატზე, რაღა თქმა უნდა, თვისტომებს ქომაგობს, მათგან გამორჩეულად კი რონალდოს, ვინც მსოფლიოში საუკეთესოდ მიაჩნია. მართალია, დინამოელთა ახალწვეულმა პორტუგალიურის გარდა სხვა ენა არ იცის, თუმცა ფეხბურთის ენა ხომ ყველასათვის ერთია და ჩვენც ასე, ცოტა არ იყოს, უცნაურად ვისაუბრეთ. სათქმელი მანაც თქვა და ჩვენც გაგვაგებინა. ბოლოს კი აი, რა გამოგვივიდა...

— ჩემპიონი ბრაზილიაა, ხოლო მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი — რონალდო. მართალია, ამ ჩემპიონატზე ის ფორმაში არ არის, მაგრამ თავის შესაძლებლობებს რონალდო კიდევ დაამტკიცებს.

— თქვენს ახალ გუნდზე რას იტყვით?

— აქაურობა ძალიან მომეწონა და იმედი მაქვს, თბილისის „დინამოში“ დიდხანს დავრჩები. საქართველოში ჩამოსვლამდე ქართულ ფეხბურთზე არაფერი ვიცოდი, თუმცა, როცა ბაზაზე პირველად მოვედი, მაშინვე დავრწმუნდი, რომ „დინამო“ უდიდესი ტრადიციების კლუბი ყოფილა, ამბროზიომ კი გუნდის ისტორია მომიყვა. არ ველოდი ასეთ გუნდში თუ აღმოვჩნდებოდი. კარგი ბიჭები დამხვდნენ, ხელმძღვანელობაც ყველანაირად ხელს გვიწყობს და ამიტომაც მსურს, რომ „დინამოში“ ვითამაშო.

— „დინამოში“ ერთი ოფიციალური მატჩი უკვე ჩაატარე — „კილიკიასთან“ 5:1 მოიგეთ. ფიქრობ, რომ სომხებთან საქმე მომთავრებულია?

— საპასუხო მატჩი წინ გვაქვს და არც ერთ მეტოქესთან არ შეიძლება მოდუნება. თუმცა მომდევნო ეტაპზე გასვლის უდიდესი შანსი „დინამოს“ რომ აქვს, ეს ანგარიშიდანაც კარგად ჩანს.

— საპასუხო მატჩშიც ძირითადში იქნები?

— როგორც მწვრთნელი გადაწყვეტს, ისე იქნება. ძირითადში თამაშის სურვილი კი, რა თქმა უნდა, მაქვს. ვეცდები, მწვრთნელს გავუმართლო.

— რომელ პოზიციაზე თამაშობთ ყველაზე კარგად?

— ცენტრალურ თავდამსხმელად. ეს ჩემთვის საუკეთესო პოზიციაა. ადრეც, ყოველთვის ამ ადგილზე ვთამაშობდი.

ძოგა ინასარიძე

ოლიმპია გასიმპათიურდება

გამონათება დიღომში — დინამო თამბაქოს წინააღმდეგ

ხვალ, 19 საათზე მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე თბილისის „დინამო“ ინტერტოტოს თასის პირველი ეტაპის საპასუხო შეხვედრაში სომხურ „კილიკიას“ უმასპინძლებს. ბილეთები მატჩის დღეს გაიყიდება და 3 ლარი ეღირება.

ერევნის „კილიკია“ კი თბილისში დღეს ჩამოვა და სასტუმრო „სიმპათიაში“ დაბინავდება. კილიკიელები დღესვე ივარჯიშებენ „მიხეილ მესხზე“.

სიახლეზეც ვთქვათ: „დინამოს“ დიღმის ბაზაზე სიგარეტის მოწევა აიკრძალა როგორც შენობაში, ისე მთლიანად ბაზის ტერიტორიაზე. კლუბმა მწეველთა უფლებებზეც იზრუნა და მათ მოსაწევად საგანგებო ადგილი გამოუყო — ხელოვნურსაფარიანი მოედნის სიახლოვეს.

დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში მანამდე მხოლოდ ერთხელ იყო, „დინამოს“ დიღმის ბაზაზე სიგარეტის მოწევა რომ აიკრძალა — ეს დინამოელთა ჰოლანდიელი მწვრთნელის იოჰან ბოსკამპის ინიციატივით მოხდა, მაგრამ ბოსკამპმა „დინამოში“ მხოლოდ რამდენიმე თვე იმუშავა.

თამბაქოსთან ბრძოლას ერთი პერიოდი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაც ეშურებოდა — როცა ფედერაციამ უეფას გრანტით ვაკეში აიშენა ოფისი, ფედერაციის მაშინდელი პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას განკარგულებით, იქ სიგარეტის მოწევა აიკრძალა, მაგრამ აკრძალვამ მხოლოდ რამდენიმე კვირა გასტანა...

დავით თავართქილაძე

დემიანენკომ იმედაშვილს ვარჯიში შეუქო

კახა ალადაშვილი, ოთარ მარცვალაძე და დავით იმედაშვილი

შვეიცარიულ შეკრებაზე მყოფი კიევის „დინამო“ საახალსეზონოდ მზადებას განაგრძობს. მოგეხსენებათ, კიეველებს სამი ჩვენებური — ოთარ მარცვალაძე, კახა ალადაშვილი და დავით იმედაშვილი — ახლავთ და, ბუნებრივია, ჩვენც დიდი ინტერესით ველით იქაურ ამბებს.

სადღეისოდ, ყველაზე აქტუალური იმედაშვილის საკითხია — თბილისის „ვიტ ჯორჯიას“ ნახევარმცველი უკრაინულ გრანდში გასინჯვაზეა და სწორედ ამ შეკრების მერე უნდა გაირკვეს, დარჩება თუ არა იგი კიევში.

გუშინ „დინამოს“ თავკაცმა ანატოლი დემიანენკომ იმედაშვილზე ეს თქვა: „ქართველი ფეხბურთელი ვარჯიშებზე ძალიან კარგად გამოიყურება. მაგრამ მასზე მეტს ახლა არაფერს გეტყვით. შეკრება გრძელდება და დროც საკმარისად გვაქვს.“

ხვალ დინამოელები შვეიცარიულ „სიონს“ გაეჯიბრებიან და იმედაშვილის დებიუტიც ალბათ მაშინ შედგება.

კახა შალამბერიძე

უკეთესი ტყუილი ან უარესი დემაგოგია

პირველი ლიგა: პირველი დუბლი

აგვისტოს დასაწყისში საქართველოს ჩემპიონატში უმაღლესლიგელების კვალად პირველლიგელებიც ჩაერთვებიან. რეალობიდან გამომდინარე, ვერასოდეს ვახერხებთ, ჯეროვანი ყურადღება მივაქციოთ რანგით მეორე დივიზიონის კლუბებს. ისე გამოდის, თითქოს ქართული ფეხბურთი მხოლოდ უმაღლესი ლიგა იყოს, დანარჩენები კი თავისთვის, დროის მოსაკლავად თამაშობდნენ. ეს მხოლოდ მედიაზე არ ითქმის, რომლის შესაძლებლობებიც, რა თქმა უნდა, შეზღუდულია. პირველი ლიგა გაცილებით მეტ ყურადღებას იმსახურებს თუნდაც ფეხბურთის ფედერაციის მხრიდან და მან ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამაში (თუკი ამგვარი რამ ერთიანი დოკუმენტის სახით მართლაც შეიქმნება), მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს.

წმინდა სპორტული ასპექტი, შეჯიბრებითობის პრინციპი და უმაღესი ლიგის საგზურების გათამაშება პირველი ლიგის მხოლოდ ერთი მხარე, ერთი ფუნქციაა. რეალურად ამაზე არანაკლები მნიშვნელობა პირველ ლიგას, როგორც ახალგაზრდა ფეხბურთელების დიდ ფეხბურთთან ადაპტირების საშუალებას, ერთგვარ საცდელ პოლიგონს გააჩნია. სწორედ აქ ვაწყდებით პრობლემას, რომელზეც არაერთხელ დაწერილა — ჩვენი პირველი ლიგა სხვადასხვა მიზნით მოთამაშე გუნდების ხელოვნურ გაერთიანებას წარმოადგენს, რაც ვერაფრით მისცემს ბიძგს ამ ლიგაში, შესაბამისად — მთლიანად ქართულ ფეხბურთში საერთო დონის ამაღლებას.

წინა სეზონში პირველი ლიგის 18 ბინადარიდან ექვსი ფარმ-კლუბი იყო („დინამოს", „ამერის", „ვიტ ჯორჯიას", „ლოკომოტივის", „ზესტაფონის", „თბილისის"). ამ გუნდებს, მოგეხსენებათ, უმაღლეს ლიგაში აღზევების უფლება არ აქვთ, რეგიონალლიგაში დაქვეითების საფრთხე კი სხვების თანასწორად ემუქრებათ. აქედან მომდინარეობს მათი ლოკალური ამოცანაც: დააგროვონ ქულათა ის მარაგი, პირველ ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის რომ კმარა. იმავ რეალობის გათვალისწინებით, ქულათა საჭირო მარაგის დაგროვება ღონიერი უმაღლესლიგელის ფარმ-კლუბს, ასე, პირველი წრის ბოლოსთვის, ჰა და ჰა, მე-20 ტურისთვის შეუძლია. მაგრამ გათამაშება რომ 34 ტურისგან შედგება? გადამწყვეტ მომენტში, როცა უმაღლესი ლიგის საგზურები თამაშდება, პრეტენდენტთაგან ერთს, შესაძლოა, მდევართან უწევდეს ჭიდილი, მეორეს კი აბსოლუტურად უმოტივაციო ფარმ-კლუბთან. ეს უკვე მეორე უსამართლობაა. გუნდი, რომელსაც გათამაშების ფინიშზე ფარმ-კლუბებთან უწევს შეხვედრები, თავისთავად ხვდება მომგებიან სიტუაციაში. არ ვლაპარაკობთ თამაშის მიცემაზე — მიმცემი ყველგან და ყოველთვის მისცემს, თუნდაც ფარმ-კლუბი არ იყოს და მოტივაციაც გააჩნდეს. ლაპარაკია იმაზე, რომ მოედნის ორ მხარეს ფსიქოლოგიურად აბსოლუტურად სხვადასხვაგვარად მოტივირებული გუნდები დგებიან.

გამოსავალი? იდეალურ შემთხვევაში, გამოსავალი უმაღლესი ლიგის პარალელურად დუბლშემადგენლობების ჩემპიონატის გამართვაა. უმღლესი ლიგა ფარმ-კლუბებისგან გათავისუფლდება და ყველა დარჩენილს ერთნაირი — სატურნირო მოტივაცია ექნება. თავად დუბლებს რაც შეეხება, ცალკე გათამაშებაში მონაწილეობის შემთხვევაში სატურნირო მოტივაცია წმინდა სიმბოლურ ხასიათს იღებს და მწვრთნელიც ქულების მაგიერ უმთავრესზე — უმაღლესი ლიგისთვის კადრების მომზადებაზეა ორიენტირებული. მეტი საშუალება ჩნდება ძირითადი გუნდის იდენტური სათამაშო სტილის დასახვეწად, ტაქტიკური ექსპერიმენტების ჩასატარებლად, კონკრეტული ფეხბურთელისთვის ოპტიმალური სათამაშო ამპლუის შესარჩევად...

თავისთავად, იდეას ყველა ეთანხმება, თუმცა იქვე ჩნდება ჯადოსნური სიტყვა, რომელიც ჩვენს გეგმა-ოცნებებს ცივ წყალს ასხამს ხოლმე — ფული! უმაღლესი ლიგის კლუბების ნახევარს მაინც არანაირი საშუალება არ გააჩნია დუბლშემადგენლობის შესანახად. დღევანდელ ვითარებაში ამგვარ მოდელზე მექანიკურად გადასვლა არაფრის მომტანი იქნება, შედეგს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში მივიღებთ, თუ ზეგ-მაზეგ გადასადგმელ ნაბიჯებზე დღეიდანვე დავიწყებთ ფიქრს. თავად კლუბებსაც მეტი საშუალება ექნებათ თადარიგის დასაჭერად და შესაძლო ცვლილებებთან შესაგუებლად. დუბლშემადგენლობათა ჩემპიონატზე გადასვლა მხოლოდ უმაღლეს ლიგაში გუნდების ოდენობის შემცირების (ლიცენზირების მკაცრი პროცესის გავლის შემდეგ) შემთხვევაში იქნება ეფექტური. იმ გუნდებისგან, დღეს საკუთარი სამგზავრო ხარჯების დაფარვაც რომ უჭირთ, დუბლების ჩამოყალიბების და შენახვის მოთხოვნა სრული უტოპია იქნება. ესენი ხომ ყოველი სეზონის წინ დაპირებების ჩამორიგებაზე, მომთაბარე, თითქმის მუქთად თამაშზე თანახმა ფეხბურთელებით გუნდის დაკომპლექტებაზე არიან ორიენტირებულნი. ასეთ სიტუაციაში საკუთარი კადრების აღზრდაზე, რეგიონებში ფეხბურთის განვითარებაზე და სხვა ამგვარებზე საუბარი უკეთეს შემთხვევაში, თავის მოტყუებაა, უარესში — სახიფათო დემაგოგია.

თავს არც ჩვენ ვიტყუებთ, თუნდაც ერთი წლის შემდეგ ამ მოდელზე გადასვლა გაჭირდება, მაგრამ ფეხბურთის განვითარების პროგრამა (იდეაში) სწორედ მრავალწლიან სტრატეგიაზე უნდა იყოს ორიენტირებული და არა კონკრეტული სტადიონის მინდვრის საფარის გამოცვლაზე, ანაც გერმანელ მწვრთნელთათვის სახელფასო ფონდის მოძიებაზე.

რამდენად ეფექტური შეიძლება აღმოჩნდეს დუბლების ჩემპიონატი, ამის თაობაზე ვეტერან ფეხბურთელებსაც შეგვიძლია დავეკითხოთ, თავის დროზე თბილისის „დინამოს", ქუთაისის „ტორპედოს", ლაწჩხუთის „გურიას" დუბლებში რომ მიიღეს საბრძოლო ნათლობა. მწვრთნელებსაც ჰკითხეთ: უმაღლესი ლიგის გუნდის დამრიგებელს საშუალება მიეცემა, ფეხბურთელის ტრავმისშემდგომი რეაბილიტაციის პროცესში, ანაც სათადარიგოთათვის ფორმის შენარჩუნების მიზნით, სატურნირო ამოცანაზე ფიქრის გარეშე ისარგებლოს დუბლშემადგენლობის სამსახურით. თავად დუბლების მწვრთნელი კი, ფსიქოლოგიური წნეხისგან თავისუფალი, საკუთარ ნაზრევს გაცილებით უკეთ მიიტანს შეგირდებამდე. ბუნებრივად გაჩნდება შემადგენლობის დაკომპლექტების სხვა სტრატეგიაც: დღევანდელ ფარმ-კლუბში გუნდის ამოსაქაჩად მიყვანილი ასაკოვანი ფეხბურთელების ადგილს მართლაც პერსპექტიული ახალგაზრდები დაიკავებენ, მწვრთნელი-სატურნირო სტრატეგებისა და მწვრთნელი-ჩალიჩმაისტერების მაგიერ კი მწვრთნელ-პედაგოგებზე გაიზრდება მოთხოვნილება.

ვითომ წავაგებთ?

გიორგი ნოზაძე

გადრი კეთილაძის ფოტო

სხვა ატმოსფერო

ამერის მომაჯალი მახარაძეს დაეჯალა

გადრი კეთილაძის ფოტო

წინა სეზონში პირველი ლიგის ბინადარ „ამერი 2"-ს ნუგზარ ბოჯგუა ხელმძღვანელობდა, რომელიც იმავდროულად მთავარ გუნდში გიორგი ჩიხრაძის ასისტენტობასაც ითავსებდა. კლუბის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, მომავალ სეზონში ბოჯგუა მთლიანად „ამერზე" გადაერთვება, ფარმ-კლუბს კი დავით მახარაძე უხელაძღვანელებს. ქართულ საფეხბურთო სამყაროში მახარაძეს დამატებით წარდგენა არ სჭირდება და ჩვენც მასთან საუბარი უახლოესი გეგმებით დავიწყეთ...

— ოცი ივნისიდან გუნდმა იპოდრომზე დაიწყო ვარჯიში. ხუთი დღის განმავლობაში ძირითადად ფიზიკურ კონდიციებზე ვიმუშავებთ, 25-დან კი „სინათლეზე" ბურთიან ვარჯიშსაც დავიწყებთ. კვირას იმავე სტადიონზე ორმხრივ მატჩს გავმართავთ, რომელშიც სავარაუდო ახალწვეულებს გამოვცდით. ამჟამად გუნდში 13 ფეხბურთელია, ოპტიმალური ოდენობა კი, ალბათ, თექვსმეტი იქნება. ჩემპიონატის მსვლელობისას ის ფეხბურთელებიც დაგვეხმარებიან, რომლებსაც „ამერის" სამწვრთნელო შტაბი ფორმის შესანარჩუნებლად და სათამაშო პრაქტიკის მისაღებად ძირითადი გუნდიდან დაგვითმობს.

— შეკრებას თუ გეგმავთ და როდიდან?

— ჯერჯერობით მხოლოდ სავარაუდოდ ვიცით პირველი ლიგის გათამაშების დაწყების თარიღი — 6 აგვისტო. აქედან გამომდინარე იგეგმება შეკრებაც. 16 ივლისიდან ორი კვირით გრიგოლეთში გავემგზავრებით.

— ფარმ-კლუბის მწვრთნელისთვის სატურნირო ამოცანებზე საუბარი ძნელია...

— უპირველესი ამოცანა, რა თქმა უნდა, მთავარი გუნდისთვის კადრების აღზრდაა. ჩემს განკარგულებაში ძირითადად 1988-89 წლებში დაბადებული ფეხბურთელები არიან. წინა სეზონთან შედარებით ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება იქნება: აქამდე „ამერი" და მისი ფარმ-კლუბი თითქმის ერთ გუნდად არსებობდა და მკაფიოდ არც შემადგენლობები იყო გამიჯნული. ახლა უფრო დამოუკიდებელნი ვიქნებით. შედეგზე არ ვართ ორიენტირებულნი, მაგრამ ყოველ კონკრეტულ თამაშში საკმარისი მოტივაცია გვექნება საიმისოდ, რომ მოედანზე მხოლოდ მოსაგებად გავიდეთ. საამისოდ ყველანაირი პირობა გვაქვს.

— ვინ დაგეხმარებათ გუნდის გაწვრთნაში და რამდენად იცნობთ კონტიგენტს, რომელთანაც მოგიწევთ მუშაობა?

— მეორე მწვრთნელი გოჩა გუჯაბიძე იქნება. რაც შეეხება შემადგენლობას, სამ-ოთხ ფეხბურთელს რეგიონალლიგიდან ვიცნობ, დანარჩენების შესაძლებლობებში გარკვევას კი სეზონის დაწყებამდე მოვასწრებთ. რაც მთავარია, მათი ამერელობა ჯერ არ არის გადაწყვეტილი და საამისოდ ყოველდღიურად შრომა მოუწევთ.

— „ამერი" საქართველოს თასის მფლობელია. ეს ტიტული მის ფარმ-კლუბს და პირადად თქვენც განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას გაკისრებთ?

— თასზე გამარჯვებამ მთლიანად კლუბის მიმართ შეცვალა დამოკიდებულება, მეტად გვაფასებენ, თუმცა მეტი მოტივაციაც ექნებათ ჩვენთან შეხვედრებში. მიღწეულის შენარჩუნება ყოველთვის უფრო ძნელია, თუმცა კლუბში შექმნილი ატმოსფერო იმედს მაძლევს, რომ მეტი შეგვიძლია. ხუთი-ექვსი თვეა, კლუბში ვარ და უმთავრესი, რაც ვნახე, ჯანსაღი ატმოსფეროა. „ამერი" ერთი ოჯახივითაა და ამ ოჯახის წევრად მიღება, ფეხბურთელთა შერჩევა არამხოლოდ სპორტული, ადამიანური კრიტერიუმებითაც ხდება. შეუძლებელია, ამგვარი ატმოსფერო სპორტულ შედეგებზეც შესაბამისად არ აისახოს.

გიორგი ნოზაძე

ქართულ ლეგიონს ერთსულოვნება აკლია

საქართველოსა და აზერბაიჯანის ვაჟ ხელბურთელთა ნაკრებები გუშინ მეორედ, ამჯერად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში შეხვდნენ ერთმანეთს.

შეგახსენებთ, მერაბ მეტრეველისა და ირაკლი კეკელიძის გუნდი ემზადება სტუდენტთა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის, რომელიც ერთ კვირაში დაიწყება პოლონეთის საპორტო ქალაქ გდანსკში.

მასპინძლებმა მატჩი უძლიერესი, ლეგიონერული შემადგენლობით დაიწყეს და თავიდან საქმე მშვენივრად მიდიოდა, მაგრამ მერე ინდივიდუალურ თამაშზე გადავიდნენ და შეტევებში წუნმა იმატა. აშკარად იგრძნობა, რომ ბიჭებს ჯერჯერობით ერთმანეთში შეთამაშება აკლიათ.

ანგარიში აზერბაიჯანელთა წამყვანმა ფორვარდმა ოლეგ გეორგიევსკიმ გახსნა, მაგრამ იქვე საბერძნეთში მოთამაშე გიორგი ქობელაშვილმა მიყოლებით ორი სწრაფი გარღვევა ზუსტი ტყორცნებით დასრულა. მერე მას „უკრაინელმა“ ვლადიმერ რუსიამ, „შვედმა“ სერგო დათუკაშვილმა, მაკედონიის ჩემპიონმა რევაზ ჭანტურიამ, აგრეთვე საქართველოს პირველობის საუკეთესო ხელბურთელმა გიორგი [illegible] ბეს მხარი და მეოცე წუთისთვის სხვაობამ სამ გოლს მიაღწია — 11:8, შესვენების შემდეგ კი ხუთამდეც გაიზარდა — 19:14, შემდეგ 21:16.

მაგრამ მერე დაცვაშიც და შეტევებშიც ბლომად შეცდომების გამო აზერბაიჯანელებმა ექვსწუთიანი მონაკვეთი 6:2 მოგვიგეს და საფინალო სასტვენამდე 11 წუთით ადრე პირველად გავიდნენ წინ — 26:25. ჩვენებმა სამჯერ კი გაათანაბრეს ანგარიში, მაგრამ დაწინაურება ვეღარ მოახერხეს და მეორე მატჩიც სტუმართა გამარჯვებით დასრულდა — 33:31.

გეორგიევსკიმ და რომან მუვიკანმა შვიდ-შვიდი გოლი გაგვიტანეს, ქართველთა შორის კი ყველაზე შედეგიანები იყვნენ რუსია (6), დათუკაშვილი (6), ჭანტურია (4), წივწივაძე (4), ქობელაშვილი (3), აკაკი ტალახაძე (3).

მეტოქეთა მესამე შეხვედრა დღეს თელავში, თამაზ ანთაძის სახელობის სპორტსკოლის დარბაზში შედგება.

გია ახალაძე

ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების ლიდერი რამაზ ნოზაძე ხანგრძლივი ტრავმიანობის შემდეგ ხალიჩას უბრუნდება. პირველ საერთაშორისო ტურნირს იგი თბილისში იჭიდავებს. 15-16 ივლისს სპორტის სასახლეში გივი კარტოზიას სახელობის ტრადიციული პირველობა გაიმართება და, სავარაუდოდ, მსოფლიოს უძლიერეს მოჭიდავეებს მოუყრის თავს

უქმობა მორჩა

რამაზ ნოზაძე შინ და გარეთ ხალიჩაზე ფიქრობს

ქართველებისთვის ტურნირს დამატებითი დატვირთვაც ექნება. საუკეთესოებით ის ნაკრები დაკომპლექტდება, შემოდგომაზე მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ უნდა გაემგზავროს. ნოზაძის უმთავრესი მიზანიც სწორედ ნაკრებში დაბრუნებაა. რეალურად, ეს უპრობლემოდ უნდა მოახერხოს, თუმც საერთო აზრს თავად არ ეთანხმება და კონკურენტების ძალას სათანადოდ აფასებს.

— ტრავმების გამო თითქმის მთელი შარშანდელი სეზონი გამიცდა — გვითხრა გუშინ, დილის ვარჯიშის შემდეგ — ხერხემლის მალები მქონდა შებრუნებული და ხანგრძლივი მკურნალობა დამჭირდა. წლის ბოლოს საბოლოოდ მოვრჩი. ამ სეზონის დასაწყისში საქართველოს ჩემპიონატიც მოვიგე და ევროპის პირველობისთვის დავიწყე მზადება, მაგრამ ისევ არ გამიმართლა, ნეკნი გამიტყდა. ევროპაც გავაცდინე და ახლა მსოფლიოზე ვფიქრობ. იმედია, ცუდი პერიოდი დასრულდა.

ნოზაძემ ევროპირველობას ტელევიზორში უყურა და, როგორც ამბობს, მის წონაში ჩემპიონ-პრიზიორები ლოგიკურად დალაგდნენ.

— სამეულში ის მოჭიდავეები მოხვდნენ, რომლებზეც თავიდანვე კეთდებოდა პროგნოზები. ყველასთან მაქვს ნაჭიდავები და, იმედია, მომავალშიც არაერთხელ შევხვდები. ისე მომენატრა ხალიჩა, ერთი სული მაქვს, როდის გავალ. კარტოზიას ტურნირამდე ოპტიმალური ფორმის აღდგენა წესით, არ უნდა გამიჭირდეს. უკვე სრული დატვირთვით ვვარჯიშობ და ლეიბზე დღითიდღე უკეთესად ვგრძნობ თავს. დასახვეწი კი ნიუანსებიღა დამრჩა. მთავარია, ტრავმამ აღარ შემაწუხოს. დანარჩენს ჩემით მოვაგვარებ. თავს არ დავზოგავ, რათა ნაკრებში დავბრუნდე და მისი სახელით დიდ ტურნირებზე ვიჭიდავო. საამისოდ პირველ რიგში შიდა კონკურენციაში უნდა ვიმარჯვო. ეს არცთუ ადვილი იქნება. ძლიერი ახალგაზრდები გამოჩნდნენ და ნებისმიერ მათგანთან შეხვედრას მთელი სერიოზულობით უნდა მოვეკიდო.

ოთარ მაღლაკელიძე

ბორჯომმა ლოზანაში ჩაილურის წყალი დალია

გუშინ გაირკვა იმ ქალაქების ვინაობა, რომლებიც 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ ბრძოლას გაგრძელებენ. ესენია: ზალცბურგი (ავსტრია), პიონჩანი (სამხრეთ კორეა) და სოჭი (რუსეთი).

მოსალოდნელი იყო და ჩვენი ბორჯომის კანდიდატურა აპლიკანტის წოდებას ვერ გაცდა. ბორჯომის ბედი ბულგარულმა სოფიამ, ყაზახურმა ალმატიმ და ესპანურმა ხაკამაც გაიზიარეს.

ზალცბურგსა და პიონჩანს სოკ-ის აღმასკომის წევრთა თვალში ერთი უეჭველი უპირატესობა ჰქონდა — ამ ქალაქებს ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ სპორტული ნაგებობების 80 პროცენტი უკვე სადღეისოდ მზად აქვთ.

ისიც აღსანიშნავია, რომ პიონჩანი, რომელიც არაერთხელ მონაწილეობდა ამგვარ ბრძოლაში, 2010 წლის ოლიმპიადის სამასპინძლოდ მხოლოდ ფინალში დამარცხდა, ზალცბურგი კი მეორედ არსი ჩაბმული ასეთ შეჯიბრებაში.

ამგვარი ბრძოლის უდიდესი გამოცდილება აქვს ხაკას, რომელმაც ზედიზედ ოთხჯერ წამოაყენა თავისი კანდიდატურა. ამიტომაც ესპანეთის ამ საკურორტო ქალაქის ასეთი ადრეული მარცხი ბევრისთვის მთავარი მოულოდნელობა აღმოჩნდა, რუსები კი სოჭის უმთავრეს უპირატესობად სახელმწიფოს მხარდაჭერას მიიჩნევდნენ და მიიჩნევენ. ისინი ამბობენ, ამ მხრივ სხვა კანდიდატები ჩვენთან ახლოსაც ვერ მოვლენო და, ალბათ, არც ტყუიან.

თავად საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ბელგიელმა პრეზიდენტმა ჟაკ როგმა, როცა პრეტენდენტების ვინაობა წაიკითხა, აღმასკომის გადაწყვეტილება უკომენტაროდ დატოვა და მხოლოდ მშრალი ოფიციალური განცხადებით შემოიფარგლა:

„ჩვენ ძალზე კმაყოფილნი ვართ ასეთი გადაწყვეტილებით, რომელიც ფარული კენჭისყრით მივიღეთ. ვულოცავთ იმ სამ ქალაქს, რომლებიც ოლიმპიური თამაშების მისაღებად ბრძოლას გააგრძელებენ. ვიმედოვნებთ, ეს ბრძოლა იქნება პატიოსანი და სპორტული შეჯიბრებების შესაფერისი. ასევე მადლობა მინდა გადავუხადო, იმ ოთხ ქალაქს, რომლებმაც თავიანთი კანდიდატურები წამოაყენეს“.

ასეა თუ ისე, ჩვენმა ბორჯომმა ისევე, როგორც რუსეთის ბაზარზე, ლოზანაშიც ჩაილურის წყალი დალია, მაგრამ იგი ფარხმალის დაყრას სულაც არ აპირებს და შემდგომი ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვის თავის კანდიდატურას კვლავ წამოაყენებს.

იმედია, იგი ამ ბრძოლას უფრო მომზადებული შეხვდება.

ავთანდილ ბუკვიშელი

სამი წაგება, ორი ტრავმა

სევასტოპოლში მიმდინარეობს უკრაინის უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა ღია ჩემპიონატის დასკვნითი, V ტურის მატჩები, რომელშიც საქართველოს ნაკრებიც გამოდის.

ტურის პირველ დღეს საქართველოს ნაკრები სევასტოპოლის გუნდთან 8:10 დამარცხდა. გუშინ დილით ქართველებმა ლვოვის „დინამოსთან“ 9:12 წააგეს, საღამოს კი მარიუპოლელებთან 13:15 დამარცხდნენ. მასპინძლებთან შეხვედრისას ჩვენი გუნდის ორი წევრი დაშავდა და მეორე მატჩში მათ აღარ უთამაშიათ.

ზოგი ჭირი მარგებელიაო და როგორც საქართველოს ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა სოსო მაისურაძემ გვითხრა, მათი ადგილი იმ ახალგაზრდებმა დაიკავეს, რომლებიც ერთი თვის მერე თანატოლთა ევროპის ჩემპიონატზე გამოვლენ.

ირაკლი ლაბაძე ძირითად ბადეშია



1998 წლის უიმბლდონის იუნიორთა ტურნირის ფინალისტი ირაკლი ლაბაძე შარშანდელი ჩავარდნის შემდეგ კვლავ ითამაშებს უპრესტიჟულესი შეჯიბრის ძირითად ბადეში. გუშინ ქართველმა ჩოგბურთელმა მესამე საკვალიფიკაციო ბარიერიც დაძლია ვეტერანი დანიელის კენეტ კარლსენის სახით. ირაკლიმ მეტოქეს 2:6 7:6 6:1 7:5 მოუგო და შედეგად, ის მეოთხედ ითამაშებს უიმბლდონის ძირითად ტურნირში. 2002 და 2004 წლებში ქართველმა მეორე წრეს უწია, ხოლო 2003 წელს პირველივე შეხვედრა წააგო. ვიქონიოთ იმედი, რომ მეოთხე ცდა გაცილებით წარმატებული იქნება.

უიმბლდონს თავისი რეიტინგი აქვს

გაირკვა უიმბლდონზე განთესილ მოთამაშეთა ვინაობა. აქ ეს პროცესი ხშირად განსხვავდება ხოლმე სხვა ტურნირებისგან, რადგან უიმბლდონის ორგანიზატორები ყურადღებას არა მიმდინარე რეიტინგებზე, არამედ ბალახზე კარგად მოთამაშე ჩოგბურთელებზე ამახვილებენ.

ამიტომაც არის, რომ ლეიტონ ჰიუიტი ორი საფეხურით წინ წაწიეს და მეექვსე ნომერი მისცეს, პირველი ათეულის გარეთ მყოფი მარიო ანჩიჩი კი მეშვიდე ნომრად განთესეს. წინ არის წაწეული ენდი როდიკიც — უკანასკნელი ორი უიმბლდონის ფინალისტს მესამე პოზიცია ერგო.

ქალებს რაც შეეხებათ, აქ პირველი ნომრად ამელი მორესმო განთესეს. მას კვალში უდგანან ბელგიელები — კიმ კლაისტერსი (2) და ჟუსტინ ენენ-არდენი (3).

შარშანდელთან შედარებით, 5 საფეხურით წაიწია მოქმედმა ჩემპიონმა ვინუს უილიამსმა — ამერიკელს წლეულს მეშვიდე ნომერი ერგო.

განთესილთა შორის კვლავაც მრავლად არიან რუსები — სულ ცხრანი, აქედან 5 პირველ ათეულში. სხვათა შორის, ყველაზე მაღალი ნომერი ორი წლის წინანდელ ტრიუმფატორ მარია შარაპოვას უკავია.

პირველი ათეულები კი ასე გამოიყურება:

კაცები	ქალები
1 როჯერ ფედერერი	1 ამელი მორესმო
2 რაფაელ ნადალი	2 კიმ კლაისტერსი
3 ენდი როდიკი	3 ჟუსტინ ენენ-არდენი
4 დავიდ ნალბანდიანი	4 მარია შარაპოვა
5 ივან ლიუბიჩიჩი	5 ნადია პეტროვა
6 ლეიტონ ჰიუიტი	6 სვეტლანა კუზნეცოვა
7 მარიო ანჩიჩი	7 ვინუს უილიამსი
8 ჯეიმს ბლეიკი	8 ელენა დემენტიევა
9 ნიკოლაი დავიდენკო	9 პატი შნიდერი
10 ფერნანდო გონსალესი	10 ანასტასია მისკინა

კაცები
ჰერტოგენბოში. ჰოლანდია.
ბალახი. საპრიზო 323 250 €

მეორე წრე

ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია) — **ჟულიენ ბენეტო** (საფრანგეთი) — 7:6 7:5; **მარკოს ბაღდატისი** (6, კვიპროსი) — **ვინსენტ სპადეა** (აშშ) — 6:2 7:6; **მარიო ანჩიჩი** (3, ხორვატია) — **რაემონ სლუტერი** (ჰოლანდია) — 6:7 7:5 6:2; **ფაბრის სანტორო** (საფრანგეთი) — **კრისტოფ ვლიგენი** (ბელგია) — 2:6 6:1 6:4; **იან ჰერნისი** (ჩეხეთი) — **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (8, სერბეთი) — 6:2 6:4; **ჰიუნ-ტაიკ ლი** (კორეა) — **მიშა ზვერევი** (გერმანია) — 6:1 6:3; **ხუან-კარლოს ფერერო** (7, ესპანეთი) — **იურგენ გელცერი** (ავსტრია) — 4:6 6:3 6:4; **ფლორიან სერა** (საფრანგეთი) — **ტომი რობრედო** (4, ესპანეთი) — 6:1 3:6 6:4

კაცები
ნოტინგემი, ინგლისი. ბალახი.
საპრიზო 323 250 €

მეორე წრე

ჟილ სიმონი (საფრანგეთი) — **იან ვაჩეკი** (ჩეხეთი) — 4:6 6:4 6:3; **რიშარ გასკე** (საფრანგეთი) — **დანიელე ბრაჩიალი** (იტალია) — 7:5 6:3; **რობინ სოდერლინგი** (შვედეთი) — **ნიკოლა მაჰუტი** (საფრანგეთი) — 6:3 6:2; **იანკო ტიპსარევიჩი** (სერბეთი) — **პარადორნ შრიჩაპარნი** (7, ტაილანდი) — 7:6 6:7 7:5; **იონას ბიორკმანი** (შვედეთი) — **ირჟი ვანეკი** (8, ჩეხეთი) — 6:3 6:3; **ფელიციანო ლოპესი** (ესპანეთი) — **პოლ გოლდსტინი** (აშშ) — 3:6 6:2 6:3; **ენდი მიურეი** (ბრიტანეთი) — **მაქს მირნი** (ბელორუსი) — 7:6 6:4; **ანდრეა სეპი** (იტალია) — **დომინიკ ჰრბატი** (2, სლოვაკეთი) — 7:5 7:5

ქალები
ისტბურნი. ინგლისი. ბალახი.
საპრიზო 600 000 $

მეორე წრე

ნატალი დეში (საფრანგეთი) — **ამელი მორესმო** (1, საფრანგეთი) — 3:6 6:2 6:3; **ანასტასია მისკინა** (5, რუსეთი) — **ჯილ კრეიბასი** (აშშ) — 6:4 6:4; **სვეტლანა კუზნეცოვა** (4, რუსეთი) — **აი სუგიამა** (იაპონია) — 1:6 6:1 6:2; **ანალენა გროენეფელდი** (7, გერმანია) — **ვერა დუშევინა** (რუსეთი) — 6:4 6:1

მეოთხედფინალი

კიმ კლაისტერსი (2, ბელგია) — **ფრანჩესკა სკიავონე** (6, იტალია) — 6:2 6:1; **ჟუსტინ ენენ-არდენი** (3, ბელგია) — **ელენა ლიხოვცევა** (რუსეთი) 6:2 6:4

ქალები
ჰერტოგენბოში. ჰოლანდია.
ბალახი. საპრიზო 175 000 €

მეოთხედფინალი

ელენა დემენტიევა (1, რუსეთი) — **ანა ივანოვიჩი** (6, სერბეთი) — 7:6 6:4; **დინარა საფინა** (2, რუსეთი) — **ბრენდა შულც-მაკარტი** (ჰოლანდია) — 6:3 6:4; **ელენი დანილიდუ** (საბერძნეთი) — **პაოლა სუარესი** (არგენტინა) — 6:2 6:0

მორესმო ბალახზეც გალახეს



AFP ჰერტოგენბოშიდან

დინარა საფინა ბალახზეც კარგია

დამდეგი უიმბლდონისთვის გამალებული მზადება მიმდინარეობს — ზოგი ისვენებს, ნაწილი კი ცდილობს, ბალახზე თამაშს აუღოს ალღო და წლის უმთავრეს ტურნირს კარგ ფორმაში შეხვდეს.

ამ მხრივ განსაკუთრებით ქალთა ელიტის წარმომადგენლებმა გამოიდეს თავი და, კაცთა უმრავლესობისგან განსხვავებით, ზედ უიმბლდონის წინ მოიწადინეს ჩოგნის ჭიევა.

სწორედ ამიტომაც ინგლისურ ისტბურნში „დიდი სლემის“ ტურნირების შესაფერისი შემადგენლობა შეიკრიბა, რომ ხანდახან „დიდი სლემის“ ტურნირებსაც არ ელირსებათ ხოლმე.

ამელი მორესმო პირველი ჩოგანი კია და უიმბლდონზეც პირველ ნომრად განთესეს, მაგრამ ფრანგი ბალახზე კარგი თამაშით ვერასდროს იწონებდა თავს და ისეთი პირი უჩანს, წლეულსაც იგივეს გაიმეორებს. ყოველ შემთხვევაში, ამელის არცთუ კარგი ვარჯიში გამოუვიდა, რადგანაც უკვე მეორე წრეში წააგო თანამემამულე ნატალი დეშისთან და უიმბლდონს ცოტა უხასიათოდ ხვდება.

სამაგიეროდ, კარგად გამოიყურებიან ბელგიელები — კიმ კლაისტერსი ბალახზე ტრადიციულად ძლიან სოლიდურია და ისტბურნშიც ნახევარფინალს ისე უწია, მხოლოდ სამი გეიმი დათმო.

შარშანდელი შეცდომა აღარ გაიმეორა ჟუსტინ ენენ-არდენმა. მოგეხსენებათ, გასულ წელს „როლან გაროსის“ შემდეგ ჭინკა ბელგიელმა უიმბლდონამდე დაისვენა, ამიტომაც ბალახზე თამაშს ალღო ვერარ აუღო და ლონდონს პირველ იწრიდან გამოემშვიდობა. თუმც ახლა ისტბურნში კარგად ირჯება და ნახევარფინალში თანამემამულე კლაისტერსთან ელის „პაემანი“.

რუსებს იმდენი უძახეს, ბალახზე თამაშის აზრზე არ ხართო, რომ ძალიან გააბრაზეს. ჯერ იყო და წინა კვირას ვერა ზვონარიოვამ იმარჯვა ბირმინგემში, ახლა ანასტასია მისკინა და სვეტლანა კუზნეცოვა ისტბურნში, ელენა დემენტიევა და დინარა საფინა კი ჰოლანდიურ ჰერტოგენბოშში ძალიან სოლიდურად გამოიყურებიან. მოკლედ, უიმბლდონს რუსული ლეგიონი სერიოზულად ემუქრება.

აი, ელიტარულ კაც ჩოგბურთელთა უმრავლესობამ კი დასვენება ინდომა. ATP მიმდინარე ტურნირებიდან კი ყველაზე საინტერესო ჯერჯერობით ის არის, რომ ნოტინგემში განთესილ მოთამაშეებს უმოწყალოდ უსწორდებიან — ამჯერად ამ შავ სიაში დომინიკ ჰრბატი და პარადორნ შრიჩაპარნი მოხვდნენ.

კახა ლომაია

ავტორბოლა

სუბარუ სოლბერგს ენდობა
ლოები ტრეკზეც მაგარია

მსოფლიოს 2003 წლის ჩემპიონმა რალიში პეტერ სოლბერგმა „სუბარუსთან“ ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი.

31 წლის ნორვეგიელი მეხუთე სეზონია, რაც იაპონური ავტოგიგანტის მანქანით დაჯირითობს, მაგრამ ტრიუმფის შემდეგ ერთხელაც ვერარ შეძლო სატიტულედ გაბრძოლება. „ჰოლივუდ“ პეტერს გამორჩეულად ჩაუფლავდა წლევანდელი ჩემპიონატი — ხან ძრავა-მუხრუჭები ღალატობს, ხანაც საბურავები. ერთი სიტყვით, რვა ეტაპის შემდეგ მხოლოდ მეხუთე ადგილზეა.

ამიტომაც იყო, რომ ხმები გავრცელდა, სოლბერგის და „სუბარუს“ გზები გაისად გაიყრებაო, მაგრამ, ეტყობა, პრობლემები მოგვარდა და თანამშრომლობა 2009 წლამდე გაგრძელდება.

მერალეებს ახლა საზაფხულო შვებულება აქვთ და ზოგიერთი განსხვავებულ შეჯიბრებებში ცდის ძალებს. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, ფრანგმა სებასტიენ ლოებმა ლე მანის 24-საათიან სუპერმარათონში მიიღო მონაწილეობა და წარმატებასაც მიაღწია. სებმა შშობლიურ ტრეკზე ერიკ ჰილარისა და მეფორმულე ფრანკ მონტანისთან ერთად მეორე ადგილი დაიკავა. სამეულის „პესკაროლო ჯადი“ მხოლოდ ოთხი წრით ჩამორჩა ემანუელე პიროს, ფრანკ ბიელასა და მარკო ვერნერის „აუდის“.

გია ახალაძე

პეტერ სოლბერგი „სუბარუში“ რჩება

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარედაქციო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge